cyan magenta yeloow black

# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 30 აგვისტო, 2011 წელი.

№160 (6771)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

## რა ელის უნიკალურ ტაძარს?

იუნესკომ ბაგრატზე მორიგი დასკვნა გამოაქვეყნა ③



## დემოგრაფია ცხინვალში კატასტროფის ზღვარზეა ⑤



## ფრთხილად, მეფე ④ პაიკში არ გაიცვალოს...



## ბურები არ ჩამოსულან? ნუ ინერვიულებთ, ⑥ მალე ჩამოვლენ!

## „გერმანია და ბოლშევიკები ბარიკადების ერთ მხარეს იდგნენ“... ⑦ ბოროტების იმპერიის ბოროტი საიდუმლოებანი

## ანქვაბი კრემლს კაპიტულაციას გამოუცხადებს, შამბა კი „დიდი პოლიტიკიდან“ მიდის... ②

## ოპტიმისტური მარცხი ⑩





**არჩევნები აფხაზეთში**

# ანქვაბი კრემლს კაპიტულაციას გამოუცხადებს, შამბა კი „დიდი პოლიტიკიდან“ მიდის...



**აფხაზეთის ე.წ. არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო სერგეი შამბა და რაულ ხაჯიმბა ხმამაღალი პროტესტის დაფიქსირებისგან თავს იკავებენ. მიუხედავად იმისა, რომ ხაჯიმბამ წუხელვე მიმართა თავის მხარდამჭერებს და ბრძოლის გაგრძელებისკენ მოუწოდა, დღეს უკვე რუსული მედია ავრცელებს ინფორმაციას, რომ მან ანქვაბს გამარჯვება მიულოცა. თუმცაღა თავისი პოზიცია ხაჯიმბამ უკვე დააფიქსირა, როცა განაცხადა, რომ „გამოყენებული იყო ფალსიფიკაციის ტექნოლოგიები. არჩევნებმა კიდევ ერთხელ უჩვენა, რომ მოტყუების პროცესი დღესაც გრძელდება. ამის დასტურია ის, რასაც დამატებით სიებში ვხედავთ. ჩვენ ვერ გავიგეთ, როგორ აკეთებენ ამას პროფესიონალები, რომლებიც ამ საქმით არიან დაკავებულები და უკვე მეორედ იმარჯვებენ ჩვენზე. ჩვენ ჯერ ციფრები უნდა დავითვალოთ. მოვითხოვ საარჩევნო კომისიისგან, არ გამოაცხადოს შედეგები“.**

შამბამ, რომელიც ჯერ კიდევ არჩევნებამდე ლაპარაკობდა საკუთარ გამარჯვებაზე და სხვა შედეგის შემთხვევაში რევოლუციით იმუქრებოდა, ასევე მიულოცა ანქვაბს გამარჯვება. თუმცა, არჩევნების შედეგებმა, როგორც ჩანს, ისე გაუტეხა გული, რომ „გარდამტეხი“ გადაწყვეტილება მიალებინა. შამბა აცხადებს, რომ ის არ აპირებს არც ალექსანდრე ანქვაბის გუნდში მუშაობას და საერთოდ, პოლიტიკიდანაც მიდის. **„არც ანქვაბთან ვიმუშავებ და არც პოლიტიკაში დავრჩები. თუმცა ძალიან კარგი გუნდი მყავს და არ მინდა ეს რესურსი დაიკარგოს. მათ სურთ დარჩნენ პოლიტიკაში, მაგალითად, შევიდნენ პარლამენტში. მე კი მათი გულშემატკივარი ვიქნები მხოლოდ“,** — განაცხადა შამბამ.

ანქვაბთან რაიმე სახის ალიანსში შესვლას არც ხაჯიმბა აპირებს. **„ბევრი ამბობდა, რომ არჩევნები შედგება, ანქვაბი გაიმარჯვებს და ხაჯიმბა მასთან სამუშაოდ წავა. მე არსადაც არ წავალ. ჩვენ სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება გვინდა და არა იმისა, რასაც, სამწუხაროდ, დღეს ვუყურებთ“,** —განაცხადა ხაჯიმბამ.

ალექსანდრე ანქვაბს კი გამარჯვება უკვე მიულოცეს კოკოითმა და მედვედევმა. კრემლმა შესანიშნავი შედეგი მიიღო. მართალია, სამივე კანდიდატის ამოსავალი წერტილი რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობა იყო, მაგრამ ანქვაბი მაინც ყველაზე პრორუსულ ძალად მოიაზრებოდა. მისი გამარჯვებით, მოსკოვმა მიიღო გარანტიები იმ საკითხების დადებითად გადაწყვეტისა, რომლებმაც, ბოლო პერიოდში სოხუმსა და მოსკოვს შორის უთანხმოება წარმოქმნა. კერძოდ, ანქვაბი ერთადერთი კანდიდატი იყო, რომელიც ღიად აცხადებდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში ლობირებას გაუწევდა რუსეთის მოქალაქეებისთვის აფხაზეთში უძრავი ქონების მიყიდვის კანონს. მისი დამოკიდებულება კაპიტულანტური იყო სოფელ აიბღასთან მიმართებაშიც, რომელსაც აფხაზები თავის ტერიტორიად მიიჩნევენ, მოსკოვი კი დათმობას აიძულებს.

ამავე დროს, ცნობილი გახდა, რომ მოსკოვმა უკვე დაგეგმა და უახლოეს ხანებში ჩაატარებს აფხაზეთსა და რუსეთს შორის ე.წ. საზღვრის დემარკაციისა და დელიმიტაციის კომისიის სხდომას, რომელზე განსახილველი მთავარი საკითხიც სწორედ აიბღას თემა იქნება.

სავარაუდოდ, წინააღმდეგობა, რომელსაც კრემლი ამ საკითხზე ჯერ კიდევ ბაღაფშის სიცოცხლეში აწყდებოდა, უკვე აღარ იარსებებს. თუკი ბაღაფში ამბობდა, „მოვკვდები, მაგრამ აფხაზეთის მთიან ნაწილს არ დავთმობო“, ანქვაბი ჯერ კიდევ ე.წ. წინასაარჩევო პერიოდში ამტკიცებდა, რომ სოფელი აიბღა რუსეთის ტერიტორიაა.

**თეა ინასარიძე**

Presa.ge

**რუსეთი არ აპირებს**

# გენადი ონიშჩენკომ, რა საქართველოს და რა ბურკინა ფასოს პროდუქციაო



**რუსეთი არ აპირებს, მიმართოს საქართველოს რუსეთში ქართული ღვინისა და მინერალური წყლის მიწოდების აღდგენის მოლაპარაკებების დაწყების ინიციატივით, — განაცხადა რუსეთის მთავარმა სანიტარიულმა ექიმმა გენადი ონიშჩენკომ.**

**მისი თქმით, რუსეთის ინტერესი საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციისადმი ისეთივეა, როგორიც ბურკინა ფასოს პროდუქციისადმი.**

„ის მოცულობა, რომელიც თეორიულად შეუძლია ამ ქვეყანამ რუსეთს მიაწოდოს, არის მიზერული და ძალიან მცირე ჩვენი სამომხმარებლო ბაზრისთვის“, — განუცხადა ონიშჩენკომ „ინტერფაქსს“.

მისი თქმით, ქართული მხარის განცხადება იმასთან დაკავშირებით, მათ ვინმემ უნდა მიმართოს, „ეს იმის მანიშნებელია, რომ ვიღაცას ცხოვრების სიურეალისტური აღქმა აქვს“.

**„აზრადაც არ გვაქვს ასეთი რამ და არც არასოდეს გვექნება. რისთვის მივმართოთ? ეს პროდუქცია ჩვენ არსებითად არაფერში გვჭირდება და ის ჩვენს პრობლემებს არ წყვეტს“,** — განაცხადა რუსეთის მთავარმა სანიტარმა და დასძინა, რომ **„ეს არის იმის ნიშანი, რომ ისინი აბსოლუტურად არაადეკვატურები არიან — დაწყებული საქართველოს უმაღლესი ხელისუფლებიდან, სფეროების სტრუქტურებით დასრულებული“...**

ონიშჩენკო აცხადებს, რომ „როსპოტრებნადზორში“ შედის მიმართვები ქართული ღვინისა და მინერალური წლის მიწოდების აღდგენის შესახებ. **„ამ მიმართვებს ჩვენ ვუპასუხებთ: მობრძანდით გეთაყვა, რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით, დაარეგისტრირეთ თქვენი პროდუქცია და ივაჭრეთ. თუ ის შესაბამისი იქნება რუსეთის ნაციონალური მოთხოვნებისადმი არავითარი შეფერხება არ იქნება“,** — აცხადებს ონიშჩენკო.

მისივე თქმით, ნათელია, რომ რუსული მხარის სურვილი, უპასუხოს საქართველოს ხალხისა და ბიზნესის ინტერესებს, „ე.წ. ხელისუფლება ცდილობს გამოიყენოს რათა მორიგ ჯერ ეპატაჟურ და მყვირალა ფორმებში ხაზი გაუსვას საკუთარ დამოუკიდებლობას, რომელიც 20 წლის განმავლობაში მაინც ვერ მიიღო“.

**ჯი-ეიჩ-ენი**



**პრესკონფერენცია**

# „რუსთაველის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელად, ალბათ, არ დავბრუნდები“

**ამის შესახებ რეჟისორმა რობერტ სტურუამ გუშინ თბილისში, „რია-ნოვოსტის“ საერთაშორისო პრესცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

**სტურუამ კიდევ ერთხელ ისაუბრა პრეზიდენტ სააკაშვილის ეროვნებასთან დაკავშირებით მის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე.**

— მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ მსურს, ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი ქართველი იყოს და თუ ის ნახევრად



ქართველია, ამას არ მალავდეს. მე ვთქვი, რომ ის სომეხია, ეს არ არის საწყენი. თუ რომელიმე სომეხი ან რუსი გულზე ხელს დაიდებს და იტყვის, რომ სურს, მისი ქვეყნის პრეზიდენტი ქართველი იყოს, მე ბოდიშს მოვიხდი. მე მრავალეროვან ქალაქში გავიზარდე. 100 მეტრის რადიუსში თბილისში სინაგოგაც არის, მეჩეთიც, სომხური და ქართული ეკლესიებიც. მე ვიზრდებოდი იტალიურ ეზოში და მყავდა სომეხი მეგობრები, — განაცხადა რობერტ სტურუამ.

მისივე აზრით, რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების რეალური მიზეზი გახდა მის მიერ ხელისუფლების ღია კრიტიკა.

ამასთან, სტურუას განცხადებით, ამ გადაწყვეტილების გასამართლებლად თეატრებში სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობების გაუქმება სასაცილო იქნება.

„ეს არ არის მოგონილი თანამდებობა. ეს აუცილებელი თანამდებობაა“, — განაცხადა რობერტ სტურუამ.

მისივე თქმით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხელისუფლება შეცვლის გადაწყვეტილებას და ბოდიშს მოიხდის, რუსთაველის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელად, ალბათ, არ დაბრუნდება.

სტურუას პრესკონფერენციაზე მიტანილი ჰქონდა შავი ფერის მაისური, რომელიც, მისი თქმით, მისმა მხარდამჭერებმა დააბეჭდინეს. მაისურის წინა მხარეზე გამოსახულია რეჟისორის ფოტო, ფოტოს ქვეშ კი წარწერა — „მომხსნეს“. მაისურის უკანა მხარეზე კი დაბეჭდილია კულტურის მინისტრის ბრძანება სტურუას გათავისუფლების შესახებ.

## რობერტ სტურუა საქართველოს დღეს დატოვებს

**რეჟისორი რობერტ სტურუა საქართველოს დღეს, 30 აგვისტოს დატოვებს. სამომავლო გეგმების შესახებ მან გუშინდელ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.**

„მე მაქვს ვალდებულება „ეტ სეტერას“ წინაშე. ჩემთვის ყველაზე მისაღები წინადადება მათგან მოდის. პირველ რიგში, მიყვარს მსახიობი კალიაგინი და ალბათ, ამ წინადადებას მივიღებ, თუმცა ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. „ეტ სეტერაში“ თავი ვიგრძენი, საკუთარ სახლში. როდესაც არჩევანს 3-4 მანდილოსანს შორის აკეთებ, რთულია აღწერო რატომ აკეთებ რომელიმე მათგანზე არჩევანს. ხვალ, ოდესაში მივფრინავ, სადაც „ეტ სეტერას“ გასტროლებია, — განაცხადა სტურუამ „რია ნოვოსტის“ ოფისში გამართულ ვიდეოხიდის მსვლელობისას.

კითხვაზე, „დაბრუნდება თუ არა უკან“? — სტურუა პასუხობს: რა თქმა უნდა, საკუთარი ქვეყნის დატოვება არავის სურს, თუმცა არის მომენტები, როდესაც გსურს ყველაფერი მიატოვო. ვფიქრობ, გამიჭირდება დაბრუნება, მიუხედავად იმ დათმობებისა, რომელზეც თეატრი წავიდა. არ ვიცი, ამ ეტაპზე ისეთ განწყობაზე ვარ, რომ — არა, რადგან საქმე თავმოყვარეობას ეხება, როდესაც შერცხვენილი ადამიანი ბრუნდება ოჯახში, მას არ შეუძლია იყოს სრულყოფილი ოჯახის წევრი. ძალიან რომ მინდოდეს დაბრუნება, მაინც ვერ გავაკეთებ, რადგან ის, რაც იყო, უკვე დასრულდა. როდესაც განცხადება მომიტანეს, ის განცდა არ მქონია, რაც უნდა მქონოდა, — აღნიშნა მან.

— სულ რაღაც ორი კვირაა, რა მოხდა, ჯერ გონზე მოსვლა მჭირდება. ქუჩაში სიარული მიჭირს, რადგან ყველა გაზეთში ჩემი ფოტოა, ასეთი სკანდალებიც მაღიზიანებს. გმირი ვერ გავხდები, მაგრამ სკანდალური გმირი უკვე ვარ, — განაცხადა რობერტ სტურუამ.

**თემიდა**

# მთავარმა პროკურატურამ განცხადება გაავრცელა

**ბურჯანაძე-ბიწაძის ოჯახის მძღოლებისთვის გამოტანილ განაჩენზე განცხადება გაავრცელა საქართველოს მთავარმა პროკურატურამ.**

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, 2011 წლის 26 მაისს რუსთაველის გამზირზე მყოფ პირთა სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობის დაზიანების დანაშაულებში ბრალდებული შაქრია ზურაშვილისა და ივანე ჩილვინაძის მიმართ სამართალწარმოება დასრულდა.

საქმის არსებითად განხილვის შედეგად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 17 აგვისტოს განაჩენით, **შაქრია ზურაშვილს** 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. მას ბრალად ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაში მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის მიმართ წინააღმდეგობა და ძალადობა.

საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის მიმართ წინააღმდეგობასა და ძალადობაში, ასევე ნივთის დაზიანებას ან განადგურებაში ბრალდებულ **ივანე ჩილვინაძეს** კი 2011 წლის 16 აგვისტოს, ზემოთ ხსენებული ორი დანაშაულის ჩადენისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვის შედეგად, მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით. რაც შეეხება მის მიერ დამატებით ჩადენილ ჯანმთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებას, მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, ასევე საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის მიმართ წინააღმდეგობისა და ძალადობის მეორე ეპიზოდს, 2011 წლის 25 აგვისტოს ივანე ჩილვინაძის მიერ დანაშაულის ამ ეპიზოდების აღიარების და გამოძიებასთან თანამშრომლობის შედეგად, მასთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, რის საფუძველზეც ივანე ჩილვინაძეს სასამართლოს განაჩენით მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 წელი პირობითი მსჯავრი.

პროკურატურის ინფორმაციით, ხუთმა ბრალდებულმა ჩადენილი დანაშაული აღიარა და საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე იშუამდგომლა. ამის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2011 წლის 28-29 ივლისს დამტკიცდა საპროცესო შეთანხმებები შემდეგ სასჯელებზე:

**1. ამირან მერებაშვილს სულ განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 წელი პირობითი მსჯავრი.**

**2. ალექსანდრე ბიბილურს სულ განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 წელი პირობითი მსჯავრი.**

**3. ნიკოლოზ ზაუტაშვილს სულ განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 წელი პირობითი მსჯავრი.**

**4. კობა კობაურს სულ განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 წელი პირობითი მსჯავრი.**

**5. ილია ზივზივაძეს სულ განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 წელი პირობითი მსჯავრი.**

ძეგლი

# რა ელის უნიკალურ ტაძარს?

## იუნესკომ ბაგრატზე მორიგი დასკვნა გამოაქვეყნა

**მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა ბაგრატის ტაძარზე მორიგი დასკვნა გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, იუნესკო შეუქცევადად აფასებს იმ ჩარევებს, რომელიც ტაძართან დაკავშირებით განხორციელდა. მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი ბაგრატის ტაძარს ტოვებს საფრთხეში მყოფი ძეგლების სიაში და საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს 2012 წლის 1 თებერვლამდე იუნესკოს წარუდგინოს განახლებული ანგარიში, რომელსაც მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 36-ე სესიაზე განიხილავენ.**

**„ობიექტივი“ გთავაზობთ 21-29 ივლისს, საფრანგეთის დედაქალაში გამართული სესიის შემდეგ, იუნესკოს ვებგვერდზე (htt://whc.unesco.org/en/sessions/35COM) გამოქვეყნებული დასკვნის თარგმანს, რომელიც ჩვენი თხოვნით, ინგლისურიდან ქართულად ენათმეცნიერმა ქეთევან გადილიამ თარგმნა.**



**ბაგრატის ტაძარი და გელათის მონასტერი (საქართველო) (C 710)**

გადაწყვეტილება: 35 COM 7A.29

მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი,

- განიხილა დოკუმენტი WHC-11/35.COM/7A.Add
- გაიხსენა 34-ე სესიაზე მიღებული გადაწყვეტილება 34 COM 7B.88 (ბრაზილია, 2010ძ

1. მიესალმება ყველა სამუშაოს შეჩერებას ბაგრატის ტაძარზე, ისევე, როგორც სარეაბილიტაციო პროგრამის წინსვლასა და გელათის მონასტრის კონსერვაციის გენერალურ გეგმას;

2. კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ იმათა კოორდინაციამ ქართულ ეკლესიასა და სამოქალაქო ხელისუფლებას შორის, განმტკიცდა ერთობლივი საქმიანობა და გაუმჯობესდა რელიგიური და სასულიერო მსოფლიო მემკვიდრეობის საკუთრების მართვა საქართველოში;

3. აგრეთვე აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მხარემ დანიშნა ბაგრატის ტაძრის კონსულტანტად არქიტექტორი კონსერვაციის დარგში, და რომ ქართველი ინჟინრები მუშაობენ სამფაზიანი მიდგომის გამოყენებით, ბაგრატის ტაძრის, როგორც დაცული სივრცის, სრული რეაბილიტაციისთვის;

4. ყურადღებას მიაპყრობს საერთაშორისო კონსულტანტის მოსაზრებას, რომ ბაგრატის ტაძრის დაუსრულებელი სტრუქტურული მდგომარეობა არაა მდგრადი, რომ შესაძლებელია არ იყოს მისაღები იმის გაუქმება, რაც ახლახან აშენდა, რადგან ჩარევები თითქმის შეუქცევადია და რომ არსებული ბეტონის სვეტებზე მცირეწონიანი სახურავი შეიძლება დაიდგას;

**5. დაჟინებით სთხოვს სახელმწიფო მხარეს, განავითაროს ბაგრატის ტაძრის სარეაბილიტაციო სტრატეგია, რომელიც გააუქმებს ახლახან ჩატარებული სამუშაოების მაქსიმალურ რაოდენობას;** შესაძლებლობის ფარგლებში გააერთიანებს ფრაგმენტებს იმ ადგილებზე, სადაც ისინი კედლების ნაწილებს ქმნიან; უზრუნველყოფს ნებისმიერი მცირეწონიანი სახურავის დადგმას, შენობის მოხაზულობის გათვალისწინებით, რაც იქნება მსგავსი იმისა, როგორიც შესაძლოა ადრე იყო და დატოვებს ტაძრის შიდა ნაწილს მოუხათქაშებლად;

6. თხოვნით მიმართავს სახელწიფო მხარეს, წარუდგინოს რეაბილიტაციის სტრატეგია მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს, მრჩეველთა საბჭოს შეფასების მისაღებად, ნებისმიერი ვალდებულების აღებამდე;

7. აგრეთვე, თხოვნით მიმართავს სახელმწიფო მხარეს, რათა მოიწვიოს გაერთიანებული მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის (COMOS) რეაგირების მონიტორინგის მისია, საკუთრების კონსერვაციის საერთო მდგომარეობის შესაფასებლად და ბაგრატის ტაძრის სარეაბილიტაციო სტრატეგიის მიდგომების განსახილველად;

8. გარდა ამისა, თხოვნით მიმართავს სახელმწიფო მხარეს 2012 წლის 1 თებერვლისთვის წარუდგინოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს განახლებული ანგარიში, საკუთრების კონსერვაციის მდგომარეობისა და ზემოაღნიშნულის განხორციელების შესახებ, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 36-ე სესიაზე განსახილველად.

იღებს გადაწყვეტილებას, მსოფლიო მემკვიდრეობის საფრთხეში მყოფი ძეგლების სიაში დატოვოს ბაგრატის ტაძარი და გელათის მონასტერი (საქართველოძ.

**მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 35-ე სესია.**

**პარიზი, საფრანგეთი, 2011 წლის 19-29 ივლისი.**

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ მოწონებულმა პროექტმა, რომლის ავტორი ვანო გრემელაშვილი გახლდათ და, რომელიც ტაძრის აღდგენას ითვალისწინებდა, 2009 წელს საზოგადოებაში დიდი ხმაური გამოიწვია, რასაც 2010 წლის ზაფხულში მოჰყვა იუნესკოს დასკვნა. 2010 წლის 25 ივლისიდან — 3 აგვისტომდე, ბრაზილიის დედაქალაქში, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 34-ე სესიაზე, იუნესკომ გამოაქვეყნა დასკვნა, ბაგრატის ტაძართან მიმართებაში და ფაქტიურად თქვა ის, რასაც მანამდე ქართველი სპეციალისტები ამბობდნენ — სამუშაოები იმგვარად მიმდინარეობს, რომ ტაძარი პირვანდელ სახეს კარგავს და იქცევა ახლადაშენებულ, ბრჭყვიალა ტაძრადო.

უფრო კონკრეტულად, იუნესკომ თავის ვებგვერდზე (http://whc.unesco.org/en/sessions/34COM/documentsძ გამოქვეყნებულ დასკვნაში სერიოზული შეშფოთება გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ წევრი ქვეყნის მიერ, ძეგლზე განხორციელებული იყო შეუქცევადი ჩარევები. **იუნესკომ საქართველოს მოუწოდა, დაუყოვნებლივ შეეჩერებინა ბაგრატის საკათედრო ტაძარზე მიმდინარე ყველა სამუშაო და უზრუნველეყო ისტორიული ძეგლის გრძელვადიანი კონსერვაცია და გამაგრება.**

იუნესკომ საქართველოს ასევე მოუწოდა დაეწყო კონსულტაციები საერთაშორისო ინჟინერ-რესტავრატორებსა და არქიტექტორ-რესტავრატორებთან, რათა იმის განხილვა მომხდარიყო, თუ როგორ შეიძლებოდა სრულად, ან ნაწილობრივ გამოსწორებულიყო უკვე განხორციელებული ჩარევები.

ამასთან, იუნესკომ ქართულ მხარეს გარკვეული რეკომენდაციები წარუდგინა და მათ შესასრულებლად ვადა 2011 წლის 1 თებერვლამდე მისცა — საქართველოს ხელისუფლებას, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისთვის უნდა წარედგინა ძეგლის კონსერვაციის მდგომარეობისა და მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის გადაწყვეტილების აღსრულების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების ამსახველი ანგარიში, რომლის განხილვა მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 35-ე სესიაზე იყო დაგეგმილი, იმ სესიაზე, რომლის შესახებაც მასალის დასაწყისში აღვნიშნეთ.

ხელისუფლების შესაბამისმა სტრუქტურამ ანგარიში წარადგინა და სწორედ ამ ანგარიშს მოჰყვა ის დასკვნა, რომლის ქართული თარგმანიც „ობიექტივმა“ შემოგთავაზათ.

შეგახსენებთ იმასაც, რომ ბაგრატის ტაძარზე მიმდინარე სამუშაოები ორჯერ შეჩერდა - პირველად 2009 წლის 24 სექტემბერს, მაშინ, როცა საქართველოს საპატრიარქომ ოფიციალური განცხადება გაავრცელა, რომელიც ბაგრატთან ერთად ატენის სიონსაც შეეხო:

**„...რადგან მიმდინარე პროცესებმა საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, ჩვენი პოზიცია ასეთია: დროებით შეჩერდეს ყოველგვარი სამუშაოები, შეიქმნას, როგორც კულტურის სამინისტროს, ისე საპატრიარქოს და იუნესკოს წარმომადგენლებით დაკომპლექტებული ერთობლივი კომპეტენტური კომისია, რომელშიც უნდა შევიდეს დღევანდელი სახით სამშენებლო საქმიანობის მოწინააღმდეგე პოზიციის მქონე ექსპერტებიც“.**

ბაგრატზე სამუშაოები ისე განაახლეს, რომ მსგავსი კომისია არ შექმნილა. ბაგრატის საკათედრო ტაძარზე სამუშაოები მეორედ 2010 წლის 21 დეკემბერს, მიხეილ სააკაშვილის სიტყვიერი ბრძანების შემდეგ შეწყდა. მიმდინარე წლის 5 იანვარს, ბაგრატის ტაძრის გარშემო მიმდინარე ვითარების გასარკვევად ქუთაისში გახლდით. მაშინ გამოვაქვეყნეთ მასალა სათაურით — **სააკაშვილმა ბაგრატის ტაძრის შუშით გადახურვა ბრძანა!..** ქუთაისში ყოფნისას იმ ადამიანებს ვესაუბრე, რომლებმაც სააკაშვილის ბრძანება თავიანთი ყურით მოისმინეს.

**ბაგრატის ტაძრის შუშით გადახურვის საკითხი რომ განიხილება, ეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორმა ნიკა ვაჩეიშვილმა დაგვიდასტურა, მაშინ, როცა სააგენტოს ოფისში საათზე მეტხანს გვესაუბრა ჟურნალისტებს,** 2011 წელს დაგეგმილ ღონისძიებებზე. ეს ამბავი 2011 წლის 4 თებერვალს მოხდა. 7 თებერვალს გამოვაქვეყნეთ მასალა სათაურით — რკინაბეტონით გამაგრებული კულტურული მემკვიდრეობა.

2011 წლის 4 თებერვალს ნიკა ვაჩეიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ ბაგრატის გუმბათის აღდგენის საკითხი განიხილება, მაგრამ როგორი და რა მასალით, ეს არ დაუზუსტებია. „არის რაღაც ალტერნატიული“, — თქვა მან და იქვე დავუსვი კითხვა, განიხილებოდა თუ არა შუშით გადახურვის საკითხი? რაზეც ასეთი პასუხი მივიღე: **„რა თქმა უნდა, იცით რა, შუშა არ ვიცი. ახლა, მაგალითად, წამყვანი ექსპერტები ამბობენ, რომ აქ შუშას საერთოდ ვერ ვხედავთო და მეც ვერ ვხედავ, მაგრამ ეგება რაღაცა სხვას ვხედავთ?! შეიძლება ეს ლითონია, შეიძლება ეს ხე არის, შეიძლება ეს ქვა არის, ისევ, ხომ?!“**

ბოლოს შეგახსენებთ იმასაც, რომ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში ბაგრატის ტაძარი გელათის სამონასტრო კომპლექსთან ერთად ქართულმა მხარემ 1994 წელს შეიტანა.

**ნინო მიქიაშვილი,**

**Presage.tv**

გვწერენ

# რატომ ვექცევით გრიგოლეთს გერივით?!

ნამდვილად გვიხარია ბათუმის და ანაკლიის გალამაზება, ისიც გვიხარია, რომ ურეკს უფრო ადრე მიხედეს, აი გრიგოლეთი კი თითქოს დაივიწყეს: არაა გარეგანათება, არც დენის გამორთვაა ნებისმიერი წვიმისას ჩვენთვის უცხო, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა სანაპიროზე ძროხები. თვითკრიტიკით: სანაპირო დანაგვიანებულია (შეძლებისდაგვარად ვალაგებთ...ძ წელს ლატვიიდან და სომხეთიდან ჩამოსულ სტუმრებს უკვირდათ, რატომ არ აქცევენ ყურადღებას ამ ლამაზ ადგილსაცო. მიუხედავად დასახლებული პუნქტებისა, მანქანები დიდი სიჩქარით დაქრიან. ნუთუ არ შეიძლება „მწოლიარე პოლიციელის“ (წინაღობისძ დაყენება, რომ მანქანამ სიჩქარეს უკლოს? არ შეიძლება, რომ დასახლებულ პუნქტში დამონტაჟდეს განათება? გვერწმუნეთ, ამით ფოთისა და ურეკს შორის მდებარე განათებული გრიგოლეთი ცივილიზებულ სახეს მიიღებს.

**გვიდონ უშხვანი,**
**ჟორა მალაშხია,**
**გიორგი გოზრონიძე.**

**P. S. გზებზე ნაგვის ბუნკერები დაიდგა და ეს ძალიან კარგია.**

**გ. უ.; ჟ. მ.; გ. გ.**

ინფორმაცია

## მამუკა ქაცარავა - დედაქალაქისთვის 20-25 პოლიკლინიკა საკმარისია

**30 მუნიციპალური პოლიკლინიკიდან ტენდერზე ექვსი პოლიკლინიკა გაიყიდა, მათგან ოთხი კოლექტივმა შეისყიდა, — ამის შესახებ თბილისის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე თბილისის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა ქაცარავამ განაცხადა.**



**ქაცარავამ პოლიკლინიკების პრივატიზაციასთან დაკავშირებით კომისიის წევრების კითხვებს უპასუხა.**

**ქაცარავას თქმით, პოლიკლინიკების პრივატიზაცია სწორი გადაწყვეტილებაა. იგი მიიჩნევს, რომ პოლიკლინიკების მედპერსონალისთვის დატოვება არ ამართლებს, თუ არ აქვთ ფინანსური შესაძლებლობა, პოლიკლინიკები შეინარჩუნონ და იქ მომსახურების ხარისხი აამაღლონ. „ამ მეთოდმა არ გაამართლა“, — დასძინა ქაცარავამ.**

**ქაცარავა აცხადებს, რომ ხელისუფლებას გაცილებით იაფი უჯდება, მოქალაქეებისთვის სერვისი მაღალკონკურენტუნარიან სამედიცინო ობიექტიდან შეისყიდოს.**

**მამუკა ქაცარავამ, ასევე, აღნიშნა, რომ სულ თბილისში 57 მუნიციპალური და 20 კერძო პოლიკლინიკაა, მათგან 30 პოლიკლინიკა გატანილია ტენდერზე, გაყიდული ექვსი პოლიკლინიკიდან ოთხი კოლექტივმა შეისყიდა და ამისთვის ბანკებიდან სესხი აიღეს.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ◎ პოზიცია

**მეტად „საინტერესო“ ცხოვრება გვაქვს. დღე არ გავა, რომ რაიმე ახალმა ამბავმა გული არ „შეგვიფრთხიალოს“. პირადი პრობლემები გვავიწყდება, თითქოს სულ სხვა საფიქრალი გვიჩნდება, მაგრამ ის რაც არ უნდა სხვა იყოს, ბოლოს ხვდები,რომ „სხვა“სულაც არ არის, პირადულია, შენთან მოდის, სულს გიფორიაქებს და შიშით გბოჭავს,**

**ის, რაც აგვისტოს დასაწყისში მოხდა, მართლაც რომ, წარმოუდგენელი რამ არის და არა მხოლოდ საკვირველია, არამედ დამაფიქრებელი. საით მივდივართ?**

ერთ-ერთ რადიოარხზე უცნაური საუბარი მოვისმინე. ვინმე არნოლდ სტეფანიანი ირწმუნებოდა, საქართველოს მოქალაქე ვარო, სხვადასხვა ეროვნებების ასოციაციას თუ რაღაც ამდაგვარ საზოგადოებას ვხელმძღვანელობო და თუ რაიმე პრობლემა წამოიჭრა ამ მხრივ, ჩვენი ორგანიზაცია მაშინვე ეხმაურება და ცდილობს, ყველაფერი გართულების გარეშე მოწესრიგდესო. მგონი არ ვცდები, ასე გავიგე მე მისი საუბარი. მართლაც საინტერესო ამბავია. საქართველოს მცხოვრებთა მრავალეროვნება არახალია, საუკუნეებს ითვლის მისი ისტორია, იგივე ისტორიის მიხედვით ვიცით, რომ არანაირი გასაჭირი ჩვენში მცხოვრებ ერებს ურთიერთობებში და თანაცხოვრებაში არა გვქონია, ნუთუ მაშინაც იყო ამდაგვარი მაშველი ძალა, რომელზედაც რადიოში მოსაუბრე ბატონი გვაცნობდა? რაღაც არ მსმენია ასეთი რამ. ერთად გვიცხოვრია, ვცხოვრობთ და კვლავაც ვიცხოვრებთ სიამტკბილობით სხვადასხვა ნაციონალობის ადამიანები, ვინც ჩვენი მიწა შეიყვარა და ქართული მიწის ძუძუთი იკვებება. არაფერია ამაში გასაკვირი, მით უმეტეს, რომ მხოლოდ ჩვენი ქვეყანა როდია მრავალეროვანი, დღევანდელ მსოფლიოში მიგრაციამ ისე გაშალა ფრთები, ლამის არის მთელი პლანეტა ერთგვაროვან, ანუ ერთნაირად მრავალეროვან ხალხებით დასახლებულ მიწად გადაიქცეს. საქართველოს რატომ დასჭირდა ასეთი საზოგადოების დახმარება? მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, რომ დასჭირვებია... თუმცა არაფერია გასაკვირი, დღეს ხომ უამრავ პროგრამასა და გრანტს გვთავაზობენ და აი, ალბათ ისარგებლეს ამ წყალობით, ფულიც მოიპოვეს და სამსახურიც. მართალი რომ ვთქვათ, არ არის ცუდი, როცა ადამიანი საქმეს მიაგნებს....ეს არაფერი. კიდევ უფრო გულისამაჩუყებელი იყო ის, რაც შემდგომ მოვისმინე: ეროვნებით ქართველ, საქართველოში მცხოვრებ ერთ-ერთ მსოფლიო მნიშვნელობის გენიალურ ხელოვანს ისეთი სიტყვა უთქვამს (თანაც რამდენჯერმე გაუმეორებია!(, რომ აშკარად გამოუმჟღავნებია ეგრეთ წოდებული ქსენოფობიური ხასიათი. ეს ყველაფერი თურმე აგერ ჩვენი მოძმე ერის, სომხების მიმართ... ჩვენს ბატონს კი ეს სახიფათო და საშიში მოვლენის შესახებ სასწრაფოდ, განცხადების სახით მიურთმევია საქართველოს კულტურის მინისტრისთვის, რათა სათანადოდ და თანაც დროულად დაესაჯათ „ქსენოფობი“... ამას მოჰყვა თურმე ის, რაც შემდგომ მოხდა, რაც უკვე ყველამ ვიცით და რამაც მთელი საქართველოს ღირსეულ საზოგადოებასთან ერთად, მსოფლიოს ხელოვნების წარმომადგენლებიც ააფორიაქა...

ასეა თუ ისე, ჩვენ, ადამიანების სიყვარულით, სტუმართმასპინძლობითა და სხვათა მიმართ არაჩვეულებრივი სითბოთი და მზრუნველობით გამორჩეულ ქართველებს, აგერ ქვეყნის შუაგულში თურმე, კაცთმოძულე არ გვყოლია?! და ვინ მერე! ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი, მართლაც

# ფრთხილად, მეფე პაიკში არ გაიცვალოს...



რომ დიდი, გენიალური ტალანტი ადამიანის სრულყოფისაკენ მიმავალ გზას, პიროვნელობას და მაღალ სულიერებას მიუძღვნა. ამას მხოლოდ ჟურნალისტები კი არა, დიდი მკვლევარები, ნამდვილი ხელოვნებათმცოდნეები ამბობენ.

არავითარი საფუძველი არა მაქვს,რომ არ დავიჯერო იმ ბატონის განცხადება – საქართველოს მოქალაქე ვარო, მაგრამ, მეორე მხრივ, როგორი ან რომელი საქართველოს მოქალაქე იკისრებს იმ „მოვალეობას“, რაც ამ ბატონმა იკისრა, – სამსახურიდან გაათავისუფლებინოს არა მხოლოდ დიდი მოქალაქე, შესანიშნავ პიროვნებად ცნობილი ადამიანი, არამედ ქართული კულტურის ფუძემდებელთა შორის ერთ- ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურა, ადამიანი, რომელმაც ჩვენი (და იმ ბატონის( სამშობლოს სახელი მსოფლიოში გაიტანა, გაალამაზა და აამაღლა... მოქალაქეობა არ არის სადამსჯელო პოსტზე ყოფნა, თანამოქალაქეთა საუბრებისა და გამოთქმების თვალთვალი, მოქალაქეობა დიდი პასუხისმგებლობაა, უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლისუნარიანობაა, გაჭირვებულთა თანადგომაა, იმის ღრმად გააზრებაა, თუ ვინ რა წვლილი შეიტანა ქვეყნის კულტურის, განათლების, ეკონომიკისა და ასე შემდეგ, განვითარებაში. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ თანამედროვე ეპოქაში დიდი ხელოვანებით და საზოგადო მოღვაწეებით არც ისე განებივრებული ვართ (ჩვენ კი არადა, მსოფლიოს ცნობილი სახელმწიფოებიც კი!( და მადლისთვის თუ ასეთი ვინმე გამოგვერია, მისით უნდა ვიამაყოთ და არა გავწიროთ! საქართველოს მოქალაქე მაშინა ხარ, ასეთ ბუმბერაზ შემოქმედს მართლაც, რომ მოუვიდეს, მარცხი, თვალდახუჭულმა კი არ უნდა უმტრო, არამედ მისი ადამიანობის, ცხოვრების სტილის გაანალიზების შემდეგ, მისი შემოქმედებისა და მოღვაწეობის მიხედვით უნდა დაიცვა კიდეც, თუ მიგაჩნია, რომ მას შენი სამშობლოს სასარგებლო საქმეები უკეთებია.

კარგი. ეს სამწუხარო ამბავი ჩვენს პატივცემულ მოქალაქეს მოუვიდა, უნდა ვაპატიოთ, ბოლოს და ბოლოს იუდა ისკარიოტელის ცოდვის აკიდებისაგან ნამდვილად დავიფაროთ (ისიც ხომ საფიქრელია, მართლა ამ ბატონის განცხადებამ „იმუშავა“ თუ...(, მაგრამ ქვეყნის კულტურის სათავეში მდგომი, ესე იგი, ქვეყნის კულტურის მიმართულების მაკონტროლებელი ჩინოვნიკი, ნეტა არ ეტყვის და არ აუხსნის თავის ხალხს, როგორ და რატომ გამოიტანა საზოგადოებისათვის უკვე ცნობილი შინაარსის გადაწყვეტილება და ხელი მოაწერა კორიფედ აღიარებული და ხალხის საყვარელი რეჟისორის ბრალდებით გათავისუფლებას დაკავებული თანამდებობიდან?

მე, როგორც ერთ-ერთ რიგით ადამიანს, პიროვნებას, ძალიან მაწუხებს ბევრი რამ, მტკივა ჩემი ქვეყნის ტკივილი და მამხნევებს მისი სიჯანსაღე, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ ჩემი სამშობლოს ხელისუფალთა ნაბიჯებს. მახარებს, როდესაც საქართველოს მესვეურები ქვეყნის კეთილდღეობისთვის იღვწიან, ნიღბით შემოსულ მლიქვნელ სტუმარს (პოლიტიკოსს, რელიგიის მსახურს თუ ბიზნესმენს( დახვეწილი დიპლომატიით გაისტუმრებენ, არც „მწვადს დაწვავენ და არც შამფურს“, ერთი სიტყვით, ყველა მათი კეთილი და გონივრული სვლა მახარებს, რადგანაც ეს ყველაფერი ჩემი ქვეყნის გაძლიერებას, ჩვენი ხალხის მშვიდობიან ცხოვრებას ემსახურება, მაგრამ ვერაფრით ვერ მივხვდი, რას ემსახურებოდა დიდი რეჟისორის მიმართ მინისტრის მართლაც რომ უცნაური გადაწყვეტილება, ნუთუ ახლა ის დროა, რომ მტერი და მოყვარე არარსებულ ქართულ ქსენოფობიაზე ავალაპარაკოთ, მოყვარეს გული გავუხეთქოთ და მტერს მტრობა გავუღვივოთ? ალაპარაკდნენ კიდეც წარსულში სომხეთ-საქართველოს ურთიერთობებში მომხდარ ცოდვების ფაქტებზე მავანნი...სალაპარაკო შეიძლება მართლაც ბევრი რამ არის, მაგრამ ვის სჭირდება მაინცდამაინც ახლა ჩვენს ლობეშემორღვეულ საქართველოში შუღლის აგორება? ნუთუ ახლა იმის დროა, ვეძიოთ ვინ როდის რა თქვა და ამის ნიადაგზე მეზობელი ერის შვილები გავალიზიანოთ? ქართველები სულ იმას ვტრაბახობთ, მრავალერიანი ქვეყანა გვაქვსო. როგორც ვთქვით, მსოფლიოში უამრავი ქვეყანაა მრავალერიანი, უბრალოდ მრავალეროვნება მათთან ისეა მოწესრიგებული, რომ არავის არ სჭირდება ამით ტრაბახი. ყველამ იცის, საფრანგეთი რომ საფრანგეთია, რომ ყველა მათგანის ენა ფრანგულია, რომ ყველა ერთად თავისი საყვარელი სამშობლო საფრანგეთისთვის იღვწის... ასეა სხვა ცივილიზებული სახელმწიფოებშიც...

დიახ, მაინც მინდა ვთქვა, რომ საქართველოს სახელმწიფოს კულტურის სადარაჯოზე მდგომ ჩინოვნიკს გაცილებით მეტი დაკვირვება და პასუხისმგებლობა მოეთხოვება, უპირველეს ყოვლისა, ერის კულტურაზე მზრუნველობა და ხალხის სიმშვიდეზე ფიქრიც... ტალანტებზე უზნეოდ და უსამართლოდ გადაკიდების ეპოქა მეოცე საუკუნეს გაატანა საქართველომ. არ უნდა შევქმნათ ხელოვნურად იმ დროის შემობრუნების გარემო. მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, რომ წარსულში გახედვაც აუცილებელია, ბნელ წარსულში კი არა... აი მაგალითად, ილია ჭავჭავაძისთანა ერის მამას ვინატრებდი ახლა, მტრისთვის საფუძვლიანი პასუხის გაცემა იცოდა დალოცვილმა! ჩვენი კულტურის ქომაგს, ბატონ მინისტრს, ილიას გზას ურჩევს ჩვენი საზოგადოება და ურჩევს აგრეთვე ჭადრაკის თამაშის ცოდნას საშუალო დონეზე მაინც, ყოველ შემთხვევაში, მეფე პაიკში არ უნდა გაცვალოს, როცა ამის საჭიროება სულაც არ არის. კარგი იქნება, იმაზედაც იფიქროს, რა შინაარსის დოკუმენტი დაადასტუროს თავისი ხელმოწერით. ასეთი დოკუმენტები ხომ ისტორიის კუთვნილებად იქცევა!

**გულნარა სტურუა**

## ◎ მცირე განსჯა

# „ჩემი“ სომხეთი

**ამჟამინდელი მდგომარეობით „სომხური“ თემა საზოგადოებრივი გულისყურის ფოკუსშია და განსაკუთრებითაც გამწვავდა. „დრო და ჟამის შესაფერად“ (ლექსმნათი აკაკი!), პირადად მეც მთელი სიცხადით „ამეტუზა“ დიდი ხნის პასუხგაუცემელი კითხვა: რატომ გვექიშპებიან აგრერიგად სომხები, რა აქვთ მათ ჩვენთან გასაყოფი, როცა თვითონაც ძალიან ნიჭიერ ერად წარმოდგებიან მსოფლიო რუკაზე და ასეთი და ამდენი სასახელო შვილი ჰყავთ პრაქტიკულად ყველა სფეროში.**

ჰოდა, თავს ნებას ვაძლევ, რომ ამ წერილით მკითხველს „დავანახვო“ ჩემს ცნობიერებაში ასევე დიდი ხნის გამჯდარი სომხეთი – ეგების ნათქვამი „ანტიდისონანსურ“ აკორდად გაისმას არსებულ მძიმე ვითარებაში.

ჩემი სომხეთი – ეს გახლავთ ოვანეს თუმანიანის „ერთი წვეთი თაფლი“, იოსებ გრიშაშვილის კარგი თარგმანით, სულ მთლად ბავშვობაში წაკითხულ-გაზეპირებული და დღეაქამომდე მეხსიერებაში შემონახული. „ჰაუ, ვინ ხართ, ხალხო, გარეთ – მოგვეშველეთ, მოგვეხმარეთ“... ვაგლახ, რომ ჩვენს მწარე სინამდვილეში ამგვარი შეძახილი ასე ხშირად „გამოყენებადია“... ასე ხშირად მადგება ენა-პირზე... ეს გახლავთ იმისივე „გიქორი “, მოთხრობა, რომლის დასასრულმა იმ შორეულ ბავშვობაში ამაცრემლა: დედის ხელთ ატაცებული პატარა დაიკო რომ სივრცეს გასძახის, ძმის დაბრუნების მომლოდინე: „ცქალა, გიქოლ, ცქალა“, ამ დროს კი ქალაქიდან მობრუნებულ თავჩაქინდრულ მამას ოდენ ხალათი მოაქვს (თუ სწორად მახსოვს( იქ გარდაცვლილი შვილისა...

ჩემი სომხეთი გახლავთ მათემატიკოსი სერგეი მერგელიანი, 1928 წელს დაბადებული, რომელიც 19 წლისა შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის ასპირანტურაში, ერთ წელიწადში წარადგინა საკანდიდატო შრომა, რომლის დაცვის შემდეგ აკადემიკოსებით „გატენილმა“ სამეცნიერო საბჭომ კანდიდატის ხარისხის 20 წლის მაძიებელს ერთხმად მიანიჭა დოქტორის ხარისხი კანდიდატობის „გამოტოვებით“ – იმდენად შთაბეჭდილი დარჩა მოსმენით; სერგეი მერგელიანი, რომელიც მერე 24 წლისა გახდა პროფესორი და 25 წლისა – სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი! სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად „მხოლოდ“ 28 წლისა აირჩიეს!

1948 წელს მოსკოვში მომხდარი შემთხვევა – 20 წლის ასაკში მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოპოვება სერგეი მერგილიანის მიერ – ეს იყო რეკორდი (თუკი აქ ნახმარი სიტყვა შესაფერისია(, რომელიც შემდეგ ვერავინ გაიმეორა არამცთუ ტალანტებით გაძეძგილ „რუსულ“ მათემატიკაში, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც.

ჩემი სომხეთი არის ორი ბრწყინვალე ფიზიკოსი, უფროსი ძმა აბრამ ისაკის ძე ალიხანოვი და უმცროსი ძმა არტიომ ისაკის ძე ალიხანიანი (ერთნაირი ა. ი. ინიციალების გამო უმცროსმა გვარი მცირედ გადაიკეთა(, რომელთაც არ დაკლებიათ საბჭოურ ხანაში მეცნიერთათვის დაწესებული არც ერთი ნიშანი წარჩინებისა (აქვე სათქმელად, განსვენებული აკადემიკოსი არტიომ ალიხანიანი თბილისშია დაბადებული 1908 წელს.(

ჩემი სომხეთი კიდევ არის დიდი ასტროფიზიკოსი, აკადემიკოსი ვიქტორ ამბარცუმიანი, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი წლების მანძილზე. ასევე თბილისში დაბადებული, რომელსაც აგრე თბილი ურთიერთობა ჰქონდა დიდ ქართველ კოლეგასთან, ჩვენს დაუვიწყარ აკადემიკოს ევგენი ხარაძესთან.

ახლა უნიჭიერესი მოჭადრაკე მსოფლიოს ჩემპიონი, დიდოსტატი ტიგრან პეტროსიანი, ისიც თბილისში დაბადებული, გაზრდილი, მოჭადრაკედ ალზრდილი – არ უნდა იყოს ჩემი სომხეთი? ახლა გამოჩენილი საჭადრაკო ეტიუდისტი, დიდოსტატი ჰენრი კასპარიანი – არ უნდა იყოს ჩემი სომხეთი?

დიდი კინორეჟისორი რუბენ მამულიანი, დიდი კომპოზიტორი არამ ხაჩატურიანი, შესანიშნავი მომღერლები, ბარიტონი პავლე ლისიციანი, სოპრანო გოჰარ გასპარიანი, ჩინებული კალათბურთელი არმენაკ ალაჩაჩიანი – არ უნდა იყვნენ ჩემი სომხეთი? ყველა ესენი – ვინც ვიცი და გამახსენდა – ვინც დამავიწყდა?..

„ჩემს სომხეთს“ მშვენიერი პოეტესათი, სილვა კაპუტიკიანით დავასრულებ, რომლის ერთ-ერთი დიდებული ლექსი „ბაქანზე“, თარგმანში, ალბათ, დაზარალებული, აქვე მომყავს: „ფანჯარაში ვიცან შენი ღიმება, განშორების ნაზი სევდით ნაფერი, და ხელები გავაყოლე დალონებით, მატარებელს, სიზმარივით გაფრენილს. ვიდექ ასე და მესმოდა გვიანამდი, ხმა ელმავლის, სრბოლით განახელების, წახვედი და დარჩა მხოლოდ ლიანდაგი, ვითარ შენსკენ გამოწვდილი ხელები“...

...ასეთია ჩემი პოზიცია, თორემ რამე რომ იყოს, სომხებს ისიც კი „შეაშინებს“, ერთხელ ხმამაღლა რომ ვთქვა „ილია დათუნაშვილი“. აბაა!...

**თამაზ ეზანოიძე**

ოკუპირებული ტერიტორია

# დემოგრაფია ცხინვალში კატასტროფის ზღვარზეა

**ცხინვალში მოქმედმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც მომავალ ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში, სავარაუდოდ, თავის კანდიდატურას წამოაყენებს, რეგიონის სოციალური განვითარების ანალიზი წარმოადგინა. პარტიულ ყრილობაზე წარმოდგენილი დოკუმენტი, რა თქმა უნდა, „პოლიტიკური ინტერესებითაა“ გაჯერებული, თუმცა, ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ვითარების მეტ-ნაკლებად რეალურ სურათს, ალბათ, ასახავს.**

### „შრომის ანაზღაურება

**შრომის ანაზღაურების ბიუჯეტით გათვალისწინებული მინიმალური ოდენობა 998 რუბლია.** სამომხმარებლო კალათის მოცულობა დღემდე ოფიციალურად დადგენილი არ არის. არ ჩატარებულა არც საშუალო საარსებო მინიმუმის კალკულაცია. ჩვენი მონაცემებით, სამომხმარებლო კალათის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე, 8 ათას რუბლზე მეტს შეადგენს. საშუალო სტატისტიკით, შრომის ანაზღაურება 5 ათასი რუბლია. აქედან დასკვნა: სამომხმარებლო კალათის მოცულობა შეგნებულად არ დგინდება, რათა არ გაიზარდოს შრომის ანაზღაურება და ეს მაშინ, როცა მინისტრის ხელფასი 70 ათასი რუბლია, პლუს პრემიები და სამივლინებო თანხები (პარასკევს საღამოს მინისტრების 90% ტოვებს რესპუბლიკას). საშუალო წლიური შრომის ანაზღაურება მინისტრისა, დაახლოებით, 960 ათასი რუბლია, რიგითი ადამიანისა კი, რომელიც ბიუჯეტიდან ფინანსდება, 60 ათასი. იმისათვის, რომ მან მინისტრის წლიური გამომუშავების მასშტაბებს მიაღწიოს, 16 წელი სჭირდება.

### ფასების ზრდა

**პროდუქციისა და მომსახურების ბაზარზე ფასების უკონტროლო მატება ყველგან შეინიშნება.** სამომხმარებლო კალათასა და ფასების ზრდას შორის არ არსებობს ურთიერთქმედება. მაგალითად, საწვავის — АИ-93 ფასი — სახელმწიფო გასამართ სადგურებში 35-38 რუბლია. მოსკოვი მსოფლიოში ერთ-ერთ ძვირ დედაქალაქად ითვლება, თუმცა იქ ფასები გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ცხინვალში.

### შეღავათიანი დაკრედიტება

**შეღავათიანი დაკრედიტება ეფუძნება პრინციპს „შენიანი-უცხოა“. ასევე, მისი მიზანი მომავალი არჩევნებისათვის ელექტორატის მოზიდვაა.** ამავე პრინციპით ხდება რესპუბლიკაში საცხოვრებელი სახლების განაწილებაც.

### სოციალური შემწეობა

**არ არის შემუშავებული შრომის ანაზღაურებისა და პენსიის წინასწარი ინდექსაცია.** დაბალია საბავშვო შემწეობის დონე — 73 რუბლი, დახმარება დაუსაქმებელთათვის — 48 რუბლი.

### დემოგრაფია

**უკანასკნელად მოსახლეობის აღწერა გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩატარდა. დღეისათვის, მოსახლეობის რაოდენობის დამდგენი არანაირი სტატისტიკა არ არსებობს.** გაუგებარია, რაზე დაყრდნობით უნდა მოხდეს მოსახლეობის პასპორტიზაცია ან ამომრჩეველთა სიის ფორმირება. არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები შობადობისა და სიკვდილიანობის შესახებ, არ შეისწავლება მოსახლეობის შემადგენლობა. ჩვენი მონაცემებით, სიკვდილიანობა უფრო მეტია, ვიდრე შობადობა. სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი შეინიშნება 40-50 წლის ასაკის ადამიანებში ფსიქოლოგიური სტრესების, გულსისხლძარღვთა და ონკოლოგიური დაავადებებისაგან, ასევე, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარების გამო. ცხოვრების აუტანელი პირობები, აუთვისებელი ინტელექტუალური, შრომითი და კულტურული პოტენციალი, სპეციალობით სამსახურში მოწყობის შესაძლებლობის არარსებობა, კრიმინოგენური ვითარების გამწვავება, მოსახლეობას აიძულებს, დატოვოს რესპუბლიკა. ამასთან, არ აღირიცხება, — რამდენი გადის და რამდენი შემოდის. ძალიან მცირედით ან საერთოდ არ ხდება მრავალშვილიანი ოჯახების სტიმულირება. შექმნილი დემოგრაფიული სიტუაცია სერიოზულ შეშფოთებას იწვევს საზოგადოებაში, სპეციალისტების შეფასებით კი კატასტროფის ზღვარს უახლოვდება.



### ლენინგორის (ახალგორის) რაიონი

**მოსახლეობის ძირითადი მასა, ლენინგორში ქართველები და გაქართველებული ოსებია.** ისინი, ფაქტობრივად, მოწყვეტილნი არიან რესპუბლიკის ცხოვრებას, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. პრაქტიკულად, ყველა სოციალურ შემწეობას, აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოში იღებს. სოფლის მეურნეობის პროდუქტების რესპუბლიკის შიდა ბაზარზე შეტანაც სხვადასხვა მიზეზების გამო მათთვის სირთულეს წარმოადგენს. ეს არის: გზები, გადასახადები, მათი პროდუქციის რეალურზე ბევრად დაბალ ფასებში შესყიდვა, ასევე ეროვნება, სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობის, რესპუბლიკის პასპორტების არქონა. ამიტომაც ვაჭრობა ხორციელდება საქართველოსთან. ასეთი ტენდენცია განკერძოებულობისა და განცალკევებისა კი ძალიან სახიფათოა.

### შედეგები

**პოლიტიკური ელიტის არარსებობა.** საზოგადოებრივი აზრის იგნორირება. დანაშაულებათა, განსაკუთრებით, ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის ზრდა. სოციალური დაუცველობა. სოციალური უსამართლობა. სოციალური წესრიგისა და სოციალური კონტროლის არარსებობა. რესპუბლიკის ხელმძღვანელობისადმი მასობრივი უნდობლობა. და თუ საზოგადოების განვითარების ასეთი ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნდება, რესპუბლიკა საკუთარი პრობლემების წინაშე მარტო დარჩება“.

მოამზადა
**თეა ინასარიძე**

**P.S. ასე რომ, ცხინვალელი სოციალ-დემოკრატებიც ადასტურებენ, რომ მოსკოვის მილიონები, რომლითაც ოკუპირებული რეგიონი უნდა „აშენებულიყო და აყვავებულიყო“, წყალშია გადაყრილი. და სხვათა შორის, არც მოსკოვი განიცდის მაინცდამაინც, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა ომისშემდგომ პერიოდში, დიდად არ გაუმჯობესებულა. „პრესა.ჯი“ ერთხელ უკვე წერდა, რომ გაუსაძლისი ყოფით თავმობეზრებული რიგითი ცხინვალელები ასეთ კითხვას სვამენ: „გვიღირდა კი დამოუკიდებლობა იმად, რომ ამ უპერსპექტივობაში ვიცხოვროთ?“**

რა ვჭამოთ?

# ნახევარი კილო ხორცი ამიწონეთ, გეთაყვა! დღეს წვეულება მაქვს!

**გაეროს ერთ-ერთი ბოლო მონაცემით, სადღეისოდ მსოფლიოში 925 მილიონ კაცზე მეტი შიმშილობს, ან შიმშილის ზღვარზეა. იქ კი, სადაც კვების პრობლემა შედარებით ნაკლებად მწვავეა. სურსათის ფასები სტაბილურად მაღალია, თან, ძალიან იშვიათი გამონაკლისების გარდა, განუხრელი ზრდის ტენდენცია აქვთ. გაეროს სასურსათო და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით, მსოფლიო სასურსათო ფასებმა შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშუალოდ 35 პროცენტით (!) მოიმატა.**

ფასების ზრდა მაინცდამაინც გასაკვირი არ უნდა იყოს, თუკი ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის მთელ რიგ ქვეყანაში არეულობებს, იაპონიაში გაზაფხულზე მომხდარ კატასტროფულ მიწისძვრას, დედამიწაზე კლიმატის შეცვლის პროცესთან დაკავშირებულ ბუნებრივ კატაკლიზმებს (გვალვებს, წყალდიდობებს, ხანძრებს) და, ამით გამოწვეულ ენერგოშემცველებზე (ნავთობზე, ელექტროენერგიაზე, გაზზე) ფასთა მატებას, ასევე მარცვლეულის უმსხვილესი მწარმოებლების მიერ პროდუქციის ექსპორტზე სრულ ან ნაწილობრივ დაწესებულ ემბარგოს გავითვალისწინებთ. ეს, ცხადია, პლანეტარული მასშტაბის მოვლენებია, რომლებიც ასევე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ საქართველოს შიდა სამომხმარებლო ბაზარზე. ამასთან, ჩვენში ფასების ზრდა, რაოდენ დიდიც უნდა იყოს იგი, ყველაზე მწარედ უქონელ ხალხზე აისახება. — ეგ ხომ მთელ მსოფლიოში ასეა, — იტყვის მავანი და მართალიც იქნება, ოღონდ ერთიც უნდა გვახსოვდეს — იმ ქვეყნების უმრავლესობაში, რომელთაც კაცი უცბად გაიხსენებს, **ფასების ზრდასა და ინფლაციას ინდექსაციაც ახლავს, რომელსაც, სიმართლე ვთქვათ, მთავრობათა უმრავლესობა, საკმაოდ უხალისოდ ახორციელებს, მაგრამ მომუშავე ხალხს მასთან ძალისმიერი პოზიციიდან ურთიერთობის მძლავრი იარაღი აქვს — ესაა გაფიცვა. მაგრამ ვიდრე საქმე გაფიცვამდე მივა ხოლმე, მოლაპარაკებებს დარგობრივი პროფკავშირები, ან მათი გაერთიანებები აწარმოებენ.**

შედეგად, დამსაქმებლები, სამთავრობო თუ კერძო სექტორიდან, როგორც წესი, რაღაც დონის შეთანხმებას ყოველთვის აღწევენ. ჩვენში თუ გსმენიათ რაიმე ნაღდი საქმის გამკეთებელი პროფკავშირის შესახებ, ბატონებო? თუმცა პროფკავშირები ცალკე იმხელა თემაა, მას ბარე ათი საგაზეთო მასალა ვერ აუვა, ამიტომ ისევ ჩვენს თემას დავუბრუნდეთ, რომელიც მწირსაფულიან კაცს დახლთან ეწყება.

ფასების ზრდის უპრეცედენტობას სხვებზე უკეთ, ჩემი აზრით, ამ ხილის (თან ვაშლის!) ან ბოსტნეულის (იმავე პამიდვრისა და ბადრიჯნის, ასევე მწვანილის), მაგალითი კი არა, ხორცისა და გაყინული თევზის მაგალითი მოწმობს. ამ უკანასკნელს ზაფხულის თვეებში, მოგეხსენებათ, ჩვენში ნაკლებად მოიხმარენ, ამიტომ, კაცმა რომ თქვას, იგი უნდა გაიაფებულიყო, არადა ფასებმა საშუალოდ 2,5-3,5 ლარით მოიმატა. ეგ კიდევ არაფერი. ხორცის თაობაზე, რომლის გაუძვირებლობის უამრავი ფუჭი გარანტია მოვისმინეთ ყველა რანგის სახელმწიფო ჩინოსნისგან (რომლებსაც ეს საკითხი არანაირად არ უნდა ეხებოდეთ!), ყველაზე კარგად ერთმა ნაცნობმა უბნელმა ყასაბმა მიპასუხა, როცა ვკითხე, საქმეები როგორ მიდის-მეთქი. „ე-ე, ჩემო კარგო, თითქმის მთელი დღე ტყუილად ვდგავარ, კლიენტი საერთოდ აღარ მოდის! ადრე დღეში 100-200 კილოგრამს ვვაჭრობდი, ახლა 15-20 კილოზეც ვერ ავდივარ. ბოლოს ერთად წაეღოს ვინმეს 2-3 კილო, აღარც მახსოვს!“

რა გასაკვირია ყასბის ეს ჩივილი, თუკი ხორცის წარმოების ახალი წესის შემოღების შემდეგ იგი ასზე მეტი პროცენტით გაძვირდა?! ხოლო თუკი რამ ოდნავ გაიაფდა, ესაა ყველი, რაც სეზონური მოვლენაა და მალე ისევ „აკრეფს წონას“ ასევე ნაწილობრივ შაქარი.

სურსათზე მაღალი ფასები დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ყველა ქვეყანას, სადაც მოსახლეობის უმეტესობას დაბალი შემოსავალი აქვს, თანაც სურსათის დეფიციტს განიცდის. ამ მხრივ საქართველო კლასიკური ქვეყანაა: **მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას თავი „გადასახადებიდან გადასახადებამდე“ ძლივს გააქვს, ხოლო სამამულო სამომხმარებლო ბაზარი თითქმის მთლიანად იმპორტულ საქონელს უკავია. თან ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ეს ვითარება აგრარულ სექტორში ურყევად მკვიდრდება** (მეტის თქმაც შეიძლება: ყველა სახეობის საქონელი... სექონდ-ჰენდებშიც გაძვირდა, ვისაც ეჭვი ეპარება, ერთი იქაურ გამყიდველებს გაესაუბროს!).

FAO-ს პროგნოზით, სურსათზე მაღალი მსოფლიო ფასები სულ მცირე გაისადაც შენარჩუნდება (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გაიზრდება). იმის მიუხედავად, რომ საქართველო მსოფლიო ეკონომიკაში დიდად ინტეგრირებული არ არის, მსოფლიოში სურსათზე ფასების სწრაფი ზრდა ჩვენზე თითქოს შედარებით ნაკლებად აისახება, მაგრამ ეს „შედარებით“ ნურავის მოატყუებს. ყველა ოჯახში თავისი ქოთანი თუხთუხებსო, ნათქვამია, ჩვენ ჩვენი გასაჭირი გვაქვს: 80-100-ლარიანი პენსიებისა და 28-ლარიანი ლტოლვილთა შემწეობების პირობებში საარსებო მინიმუმმა თითქმის მიაღწია საკრალურ 300-ლარიან ზღვარს!!

ხაზს ვუსვამთ: საარსებო მინიმუმმა! და ვერაფერი შეღავათია მშიერი ხალხისთვის, ბათუმში თბილისური „ბომონდი“ ყოველ კვირას ვილაც-ვილაცეების კონცერტებს რომ ესწრება „პიაცას“ მოედანზე.

**ოთარ ტურაბელიძე**

**გვეხმაურებიან**

# სადღაა პრიორიტეტების გარჩევის უნარი!..

**ალექსანდრე მეტრეველის „საქართველოს რესპუბლიკაში" (№ 150, 12 აგვისტო, 2010 წ.), გამოქვეყნებულმა ინტერვიუმ ძალიან ამაღელვა.**

ბატონ ალექსანდრეს ინტერვიუში ქართული ჩოგბურთის დასამარების ისტორიამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ჩვენი ბიუროკრატია სასტიკი, გულცივი და პროფესიულად ღატაკია. შედეგად კი, ჩვენი ქვეყნის განვითარების სწორი გზიდან აცდენის რეალურ საფრთხეს ვხედავთ.

თუნდაც სპორტის ერთი სახეობის დაკარგვა, საბაბს იძლევა, მკაცრი პასუხი მოეკითხოს ყველას, ვინც ალექსანდრე მეტრეველმა მოიხსენია.

სხვათა შორის, მეტრეველის შემთხვევა ცალკეული გამონაკლისი არაა. მაგალითად, სანკტ-პეტერბურგიდან ჩვენი ეროვნული კრივის ერთ-ერთი სიამაყე დავით კვაჭაძე რაღაც დაპირებებით მოიწვიეს და რა?... – მოტყუებული, შეურაცხყოფილი და უმუშევარი, ის დღეს მეტრეველივით ოპოზიციონერია...

სპორტის სახეობა იქნება ეს, თუ მრეწველობის რომელიმე დარგი ან მეცნიერული მიმართულება – საქართველოს მონაპოვრიდან მისი ამოშლა თუ ამოძირკვა – სახელმწიფო დანაშაულის ტოლფასია!

**ამ ინტერვიუმ ბატონ ალექსანდრესთვის მოულოდნელად გამოავლინა ხელისუფლების წარმომადგენლების უმთავრესი პროფესიული ნაკლი: ცნობისმოყვარეობის მკვეთრი დეფიციტი, ინტელექტუალური პოტენციალის (ანუ მიღებული ინფორმაციის „გადახარშვის") შეზღუდულობა და პრიორიტეტების ამორჩევის უუნარობა.**

გლობალობის პროცესის განხილვისას **(„მზერა გავუსწოროთ ხვალინდელ დღეს!" „საქართველოს რესპუბლიკა" № 121, 30 ივნისი, 2011 წ.),** აღინიშნა, რომ ისევე როგორც ეს ადრე ხშირად მომხდარა გლობალურ-ევოლუციური პროცესების მსვლელობისას, დღევანდელ ეტაპზეც პერიოდულად აუცილებლად შეიქმნება შეფერხებები, გადახრები და უკუქცევაც კი. რა გზას უნდა დაადგეს საქართველო ამ ურთულეს ისტორიულ პერიოდში? პატარა ქვეყანას არ გააჩნია ფუფუნება იმოქმედოს შესაძლო შეცდომების გამოსწორების იმედით. მიღებული გადაწყვეტილებები უნდა გამოირჩეოდნენ ერთმნიშვნელოვან მიდგომას, პირიქით – აუცილებელია ნაბიჯ-ნაბიჯ წინსვლა – ერთი საკითხიდან მეორემდე, ცდუნებების გვერდის ავლით და მოსალოდნელი ისტორიული მერყეობების გათვალისწინებით.

შევჩერდეთ ხელისუფლების წარმომადგენლების უმთავრესი ნაკლის მესამე შემადგენელზე – პრიორიტეტების ამორჩევის უუნარობაზე.

3 აგვისტოს, ამავე გაზეთის 143-ე ნომერში სწორედ პრიორიტეტებზე მქონდა საუბარი, სადაც აღვნიშნე, რომ საქართველოს მრავალფეროვანი ბუნება, სასარგებლო წიაღისეული, არაჩვეულებრივი ტრადიციები, იშვიათი კულტურა და ბევრი სხვა რამ აძნელებს პრიორიტეტების შერჩევას.



მთელი ქვეყნის ერთ უზარმაზარ ტურისტულ ზონად გადაქცევა აშკარა შეცდომაა. მსოფლიოს მოთხოვნას მაინც ვერ დავაკმაყოფილებთ, სამაგიეროდ, უნიკალურობას და ექსკლუზიურობას „დავახურდავებთ" და იაფი ტურისტული, მესამეხარისხოვანი ქვეყნების სიაში მოვხვდებით. ტურიზმის ინფრასტრუქტურა უნდა იყოს ქვეყნის ფართობის არა უმეტეს 15%-ზე გავრცელებული. დაე, ბევრ უცხოელ მსურველს არ ეყოს ადგილიც და ფულიც – საგანგებოდ საკმარისი თანხაც მოიმარაგონ და რიგშიც ჩადგნენ. ეს უმაღლესი ხარისხის ტურისტული ბიზნესის ანბანური წესია.

სპორტს რაც შეეხება – აქაც დიფერენცირებული მიდგომაა აუცილებელი. წყლის რესურსებით მდიდარ და თანაც ზღვისპირა ქვეყანაში სრულიად ლოგიკურია განვითარდეს წყალთან დაკავშირებული სპორტის ყველა სახეობა (მთავრობამ არც კი იცის, რომ ახალგაზრდობის უზარმაზარმა ნაწილმა ცურვაც კი არ იცის!ძ, აგრეთვე, ეროვნული ტრადიციებიდან გამომდინარე, ლოგიკურია, პრიორიტეტულობა მიენიჭოს ამ ტრადიციებთან დაკავშირებულ სპორტის სახეობებს, (ვეჭვობ, მთავრობამ იცოდეს ან აწუხებდეს, რომ სულ მალე საქართველოში აღარ იარსებებს თუშური და მეგრული ჯიშის ცხენი!ძ. თუნდაც ამიტომ აუცილებელია ეროვნულ-ისტორიული სპორტის სახეობების ეთნოგრაფიული სიზუსტით შენარჩუნება-განვითარება, როგორც ჩვენი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად, ისე ტურისტულ-სანახაობრივი თვალსაზრისით. მაგალითად, იაპონიაში სუმოს ჭიდაობა ორგანულად ითვისებს ამ ორ ფუნქციას. რაც შეეხება მსოფლიოში აღიარებულ საზაფხულო და ზამთრის სპორტის სახეობებს, საქართველომ უნდა აირჩიოს წმინდა ევროპული ტრადიციების პრიორიტეტი, როგორც ევროპული პრეტენზიების მქონე ქვეყანამ. სასაცილო იქნებოდა თუ ვინმეს, ჩვენს მთავრობაში, თავში მოუვა ქართული ბეისბოლის შექმნა... დასაშვებია ერთადერთი გამონაკლისი – 2-3 ტურისტულ კომპლექსში გოლფის მოედნის მოწყობა, როგორც უმაღლესი კლასის ტურისტული დასვენების შემადგენლისა.

მცოდნე ხალხს ვესაუბრე და ბევრი რამ, ჩემთვის მოულოდნელი გავიგე, მაგალითად, მცირე ავიაციის განვითარებაზე – ჩვენი ბუნებრივი რელიეფიდან გამომდინარე, საქართველო ვერტმფრენების ქვეყანა უნდა იყოსო – პატარა თვითმფრინავები კარგია, მაგრამ გაცილებით ნაკლებ ეფექტურიაო, დასაჯდომ ბილიკებზე რომ არაფერი ვთქვათ...

პრიორიტეტები, პრიორიტეტები... ფსიქოლოგიური სკოლა, ფიზიოლოგიური სკოლა, ლინგვისტურ-ენათმეცნიერების მიღწევები, მათემატიკა, ფიზიკა... – რა ჩამოთვლის მეცნიერების იმ მიმართულებებს, რომლებმაც საქართველოს მეტნაკლებად გაუთქვეს მსოფლიოში სახელი?!

საერთო-ეროვნული გამოცდა ბოლომდე არაა მიყვანილიო – მითხრეს სხვადასხვა რანგის და განსხვავებული მიმართულებების მეცნიერებმა. გამოცდას თან უნდა ახლდეს თითოეული სკოლადამთავრებულის ნიჭის, მიდრეკილების გამოვლენა-გამოკვლევა და მისთვის საფუძვლიანი რჩევა, თუ რა მიმართულებითაა უფრო ეფექტური მისი სამომავლო სწავლა და მოღვაწეობა. გამოგიტყდებით – ესეც ჩემთვის ახალი და საინტერესო მოსაზრება იყო. ხელოვნების დარგებიც მივიწყებული აქვს მთავრობას – სრულიად გამორიცხულია ხელოვნების ნებისმიერ სასწავლებელში არ ტარდებოდეს შერჩევითი კონკურსები და ზოგიერთში არ არსებობდეს სპეციფიკური ასაკობრივი ცენზი... ნორმალურ სახელმწიფოებში კულტურის სფეროში მომუშავე სახელმწიფო მოხელეებს ეს კარგად ესმით, ჩვენთან კი...

**საერთოდ, სპორტში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში რაღაცის (სახელმწიფო ინტერესების დონეზეძ დაკარგვა ადამიანურ ფაქტორთან, ეროვნულ ინტელექტუალურ რესურსებთანაა დაკავშირებული. არ არის ინტელექტუალური რესურსი – მივიღებთ დამახინჯებულ საკადრო პოლიტიკას.**

მაინც, ისევ ჯიუტად, უმთავრესს გავიმეორებ: გლობალობის ეპოქაში პატარა ქვეყანამ უნდა იპოვოს ისეთი ექსკლუზიური მინიშნება, რომლის გაგონებისას ან დანახვისას ადამიანს ზუსტად ამ პატარა ქვეყნის სახელწოდება გაახსენდება. ხელისუფლების მოქმედების ეფექტურობა განისაზღვრება არა კარგი გეგმების დასახვით, არამედ ამ პროექტების წარმატებული დასრულებით. ამისთვის საჭიროა ქვეყნის მართვისას, ხელისუფლების წარმომადგენლებში ცნობისმოყვარეობის გაჩენა, მათი ინტელექტუალური პოტენციალის გაზრდა, პრიორიტეტების ამორჩევის სიზუსტე. მაშინ საქართველოს არ შეექმნება პრობლემები არც სპორტში, არც ხელოვნებაში, არც მეცნიერებაში, არც ეკონომიკაში... დასაწყისისთვის კი სულ უბრალო რამაა საკმარისი: სამშობლოს სიყვარულის არეალი ოდნავ მაინც, თუნდაც ერთი მტკაველით, უნდა გასცდეს საკუთარი ოჯახის ინტერესების საზღვრებს. ამას არც დიდი ინტელექტი სჭირდება და არც მაღალი პროფესიონალიზმი – უბრალო და სადა სინდისიერებაც საკმარისია... ალექსანდრე მეტრეველს ეს თვისება ზომაზე მეტად გააჩნია.

**მალხაზ ჟვანია**

**იყიდება საქართველო!**

# ბურები არ ჩამოსულან? ნუ ინერვიულებთ, მალე ჩამოვლენ!

**საქართველოში სამხრეთაფრიკელი ფერმერების ჩამოსახლების პროექტი, ფაქტობრივად, ჩაფლავდაო, წერენ ჩვენი გაზეთები, თუმცა პროექტის ჩაფლავებაზე ხელისუფლება ოფიციალურ კომენტარს არ აკეთებს.**

ბური ფერმერების საქართველოში ჩამოყვანის იდეა სახელმწიფო მინისტრს დიასპორის საკითხებში პაპუნა დავითაიას ეკუთვნისო. ფერმერებთან მოსალაპარაკებლად ბატონი დავითაია სამხრეთ აფრიკაში ჩასული (ან რატომ იტყოდა უარს ასეთ ვიზიტზეძ და ფერმერთა გაერთიანებაზე მისულა საგანგებო მემორანდუმით, რომელიც თურმე იწყებოდა ასეთი სიტყვებით: „ვლოცულობთ ჩვენი ქვეყნისა და მისი ხელმძღვანელობისთვის და გთხოვთ აკურთხოთ მათი და ჩვენი გადაწყვეტილებები". – რას არ მოიფიქრებს კაცი, რომ საკუთარ იდეას ხორცი შეასხას და სოლიდური ოდენობის ფულიც გააკეთოს.

აქვე განვმარტოთ ამ ლონისძიების პოლიტიკური მნიშვნელობა.

ბურების ჩამოსახლებით და მიწების მიყიდვით ჩვენი აღმასრულებელი ხელისუფლება მიზანმიმართულად ქმნის გადაულახავ წინააღმდეგობებს აფხაზეთთან შერიგების გზაზე. როგორც ცნობილია, აფხაზეთში მიწა არ იყიდება. აფხაზებისგან განსხვავებით ჩვენი ხელისუფლება სახნავ-სათეს მიწას ყიდის უცხო მოქალაქეებზეც და ამით ასამარებს მომავალში აფხაზებთან შერიგების მცირე იმედსაც.

დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. ზემო და ქვემო ქედის მცხოვრებთა თქმით, ჩამოსახლება სწორედ მათთან იგეგმებოდა, მაგრამ ბურებმა რომ ნახეს ურწყავი მიწები, უკანმოუხედავად გაეცალნენ იქაურობას. არადა, ბურების ჩამოსახლების იდეის ავტორებს იმედი ჰქონდათ, რომ რამდენიმე ათასი ოჯახის ჩამოსახლებით, მთლიან შიდა პროდუქტში, სოფლის მეურნეობის წილი 8-დან 20 პროცენტამდე გაიზრდებოდა.

ხედავთ, იდეის ავტორებმა როგორი მოკრძალებული ციფრები გამოაქვეყნეს? თურმე არსებობდა გათვლები, რომ მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი 1-დან 80 პროცენტამდე გაიზრდებოდა.

საინტერესოა სოფლის მეურნეობის აკადემიის წევრის პროფესორ **თამაზ კუნჭულია**ს მოსაზრება. **„გაცხადებული იყო, რომ ბურები საქართველოში ჩამოდიოდნენ საკუთარი კაპიტალით. ჰოლანდიელი ემიგრანტების აფრიკელი შთამომავლები ძალიან მშრომელი ხალხია. მათი ჩამოსახლებით საქართველოში დაინერგება ახალი ტექნოლოგიები, რაც დღეს სოფლის მეურნეობაში გადამწყვეტ როლს თამაშობს. აქამდე თურმე უპირატესი იყო ბუნებრივი პირობები – კლიმატი, ნიადაგი, ბოლო დროს წინა პლანზე ტექნოლოგიები წამოვიდა".**

ბატონი პროფესორის განმარტებით კლიმატი და ნიადაგი დღეს „უპირატესი" არ ყოფილა.

კონკრეტულად რა ტექნოლოგიები შეეძლოთ დაენერგათ ბურებს, რომლებიც „გადამწყვეტ როლს თამაშობს?"

კარგი იქნებოდა, ბატონი პროფესორი ზოგიერთი მხატვარივით სათქმელს თუ არ გააბუნდოვნებდა!

**„რამდენიც უნდა ვიძახოთ, რომ თურქული პროდუქცია სუბსიდირებულია, ამიტომ იყიდება იაფად და ადგილობრივი პროდუქტი კონკურენციას ვერ უწევსო, ეს პრობლემა იარსებებს, სანამ საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანები უკეთესი პროდუქციის წარმოებას ვერ ისწავლიან!"**

აქ არაფერია გაბუნდოვნებული. როგორც ჩანს, ბატონი პროფესორი სოფლის მეურნეობაში და ბაზარზე შექმნილ მდგომარეობას კაბინეტიდან გაუსვლელად იკვლევს. ადგილობრივი პროდუქტი მართლაც ძვირია თურქეთიდან შემოტანილზე, მაგრამ მაინც ადგილობრივზე უფრო მეტია მოთხოვნა, ვიდრე შემოტანილზე (რადგან ადგილობრივი ეკოლოგიურად უფრო სუფთააძ.

**„სამხრეთ აფრიკაში ბურებს სრული სერვისი აქვთ, მიწა ირწყვება, ტექნიკური მომსახურება უმაღლეს დონეზეა, მეწარმეს შეუძლია სასუქი შეიძინოს და საცდელ მეურნეობაში გამოსცადოს, რა ნიადაგზე რომელ კულტურას რამდენი სასუქი სჭირდება. რაც მთავარია, არსებობს პროდუქციის გარანტირებული შესყიდვა".**

ბატონი პროფესორის გულწრფელი მოთხოვნა იმ „ავადსახსენებელი წყობის" დროს ხორციელდებოდა, მაგრამ ის დიდი ქვეყანა მაინც დაინგრა, ზუსტად იმიტომ, რომ სოფლის მეურნეობაში წარმოქმნილი პრობლემები ვერ დაძლიეს. როგორც ჩანს, ბატონმა პროფესორმა და ალბათ მისმა კოლეგებმა დღესაც არ იციან, თუ რატომ იყო ერთი ლიტრი რძე ნახევარ ლიტრ ლიმონათზე უფრო იაფი!

დავუბრუნდეთ ბურების ჩამოსახლების საკითხს.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ბურებმა საბოლოოდ უარი თქვეს ქართული მიწების შესყიდვაზე. ჩვენი აზრით, ისინი ელოდებიან საზოგადოებრივი აზრის სხვა მტკივნეულ საკითხებზე გადატანას.

**მე ვერა და ვერ ვხვდები, რა სინდისით უნდა მიიღოს მონაწილეობა მომავალ არჩევნებში იმ პარტიამ, რომელიც ჩვენს მცირემიწიან ქვეყანაში, სადაც ბევრი ოჯახია უმიწოდ, გეგმავს უცხო მოქალაქეებისთვის ქართული მიწის მიყიდვას?**

**ნუგზარ კობახიძე,**
ბოლნისიდან

SIC!

# ბოროტების იმპერიის ბოროტი საიდუმლოებანი

**სსრკ-ის დაშლის შემდეგ, არაერთ იმდროინდელ საიდუმლოს აეხადა ფარდა, თუმცა ბევრი კითხვა დღესაც პასუხგაუცემელია. ზოგიერთების აზრით, სსრკ-ის იდუმალებით მოცული წარსული უფრო მითების სფეროა, მაგრამ ამერიკულმა ჟურნალმა „Foreign Polic“-მა იმპერიის რამდენიმე ბოროტი საიდუმლოს სია მაინც შეადგინა. მათ შორისაა, კომუნისტური პარტიის ოქროს, ურალში არსებული დახურული ბუნკერის, ბიოლოგიური იარაღის შექმნისა და სხვა საკითხები.**

დღემდე გაურკვეველია კომუნისტური პარტიის განძის ბედი — დიდძალი ოქროსი, რომელიც თითქოსდა, სსრკ-ის დაშლის შემდეგ, საზღვარგარეთის ბანკებში გადაანაწილეს. მითქმა-მოთქმას ამ სიმდიდრის შესახებ, ჭორებს უწოდებენ, თუმცა ის ფაქტი, რომ საკითხის კვლევით თავის დროზე არაერთი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე იყო დაინტერესებული, ეჭვებს უფრო ამძაფრებს. პარტიული ოქროს ბედს იკვლევდნენ იური ბატურინი, არკადი ვაკსნერგი, მიხაილ გელერი, ბორის კაგარლიცკი, ვლადიმერ კრიუჩკოვი, ლეონიდ მლეჩინი, ალექსანდრ ნევზოროვი და იური შეკოჩიხინი. იგორ გაიდარის დავალებით, საიდუმლო განძს დეტექტიური სააგენტო Kroll Associates-იც ეძებდა, მაგრამ უშედეგოდ.



**მორიგი საიდუმლო:** მუშაობდნენ თუ არა სსრკ-ში პორტატულ ბირთვულ იარაღზე? გენერალი ალექსანდრ ლებედი 1997 წელს ამტკიცებდა, რომ სპეცსამსახურებს ასობით ასეთი ბომბი ედო „ჩემოდანში“, თითოეული ერთი კილოტონის მოცულობით, თუმცა მათი ნახევარი გაქრა.

საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწე, პროფესორი ალექსეი იაბლოკოვი ადასტურებდა ასეთი მოწყობილობების არსებობას, რომელიც მისივე თქმით, 70-იან წლებში, კგბ-ს დაკვეთით, ტერაქტების ორგანიზებისათვის იქმნებოდა.

**მუშაობდა თუ არა სსრკ ბიოლოგიურ იარაღზე?** ზოგიერთი მონაცემით, 1942 წელს, სსრკ-მა ბიოლოგიური იარაღი სტალინგრადთან, ფაშისტების წინააღმდეგ გამოიყენა. ეს ვერსია ოფიციალურად დადასტურებული არ არის, მაგრამ მკვლევარები ამას მითების სფეროს სულაც არ მიაკუთვნებენ. სწორედ ბიოლოგიურ იარაღზე მუშაობას უკავშირებენ ისინი ციმბირული წყლულის უცნაურ აფეთქებას სვერდლოვსკის ოლქში 1972 წელს. როგორც ექსპერტებმა დაადგინეს, საშიში ვირუსი სვერდლოვსკის ლაბორატორიიდან გაიჟონა. ოფიციალური ვერსიით, დაავადების მიზეზი გახდა ინფიცირებული ძროხის ხორცი. თუმცა არც ამერიკული სპეცსამსახურების დივერსიას გამორიცხავენ.

**მორიგი ინტრიგა: კგბ-ს ოპერაცია „ფლეიტა“,** რომლის დროსაც, თითქოსდა, ბიოლოგიური იარაღი გამოიცდებოდა. 90-იან წლებში აშშ-ში ემიგრირებული მეცნიერი, მიკრობიოლოგი კენ ალიბეკი (კანატჯან ალიბეკოვიძ, რომელსაც სსრკ-ში ბიოლოგიური იარაღის პროგრამის დირექტორის მოადგილის პოსტი ეკავა, ამტკიცებდა, რომ ოპერაციის მთავარი მიზანი იყო ფსიქოტროპული და ნეიროტროპული ბიოლოგიური ნივთიერებების შექმნა-დამუშავება სპეცოპერაციებისათვის, მათ შორის, პოლიტიკური მკვლელობებისათვის. ნიშანდობლივია, რომ ალიბეკს სსრკ-ის სამხედრო წრეებში მოღალატედ თვლიდნენ, რომელმაც ბიოლოგიური ომისათვის სსრკ-ის სამზადისი გამოავლინა.

დღემდე არ არსებობს პასუხი კითხვაზე, **რისთვის იყო განკუთვნილი ბუნკერი ურალში, — კოდური სახელწოდებით „გროტი“,** რომლის მშენებლობაც 1980-იან წლებში დაიწყო. დაუდასტურებელი ინფორმაციით, იქ უნდა განთავსებულიყო სარაკეტო-სტრატეგიული ძალების შტაბი, რომელიც ბირთვულ დარტყმას გადაურჩებოდა. მშენებლობა ამერიკულმა დაზვერვამ მალევე აღმოაჩინა.

დღემდე დაუდგენელია, რა უჯდებოდა საბჭოთა ეკონომიკას ქვეყნის თავდაცვა და უსაფრთხოება. ამის დადგენა ვერც ამერიკელებმა შეძლეს. ზოგიერთი მონაცემით, ამ მიმართულებით საბჭოთა კავშირის ბიუჯეტის 20% იხარჯებოდა.

**და ბოლოს, როგორ მუშაობდა საბჭოთა დაზვერვა?** კგბ-ს ყოფილი პოლკოვნიკის ოლეგ გორდიევსკის ინფორმაციით, უშიშროების კომიტეტი საგაზეთო პუბლიკაციებზე იყო ორიენტირებული, რადგანაც „სარწმუნო წყაროები“ სსრკ-ს არასაკმარისი ჰყავდა. სწორედ ამის გამო, ბირთვული საფრთხე დასავლეთიდან გადაჭარბებულად იყო შეფასებული და შესაძლოა, დაზვერვა იმას აწვდიდა ხელმძღვანელობას, რისი გაგონებაც თავად სურდა, — წერს „Foreign Polic“-ის ჟურნალისტი. სხვათა შორის, სწორედ გორდიენკოს მიუძღვის დიდი წვლილი იმაში, რომ 1983 წელს ამერიკამ და ბრიტანეთმა შეცვალეს სწავლების — HATO Able Archer პროგრამა და კრემლის შიშები გაანეიტრალეს. აღნიშნული სწავლება სსრკ-ის ხელმძღვანელობამ ბირთვული თავდასხმის საფრთხედ აღიქვა.

**თეა ინასარიძე**
Presa.ge

ისტორიის ფურცლები

# „გერმანია და ბოლშევიკები ბარიკადების ერთ მხარეს იდგნენ“...

## ალექსანდრ კერენსკი ადასტურებს

**ახლახან მიაკვლიეს 1953 წლის უნიკალურ აუდიო ჩანაწერებს. მასზე ჩაწერილია რუსეთის თებერვლის „რევოლუციის პირველი ტრიბუნის“, დროებითი მთავრობის თავმჯდომარის, სამხედრო მინისტრის, იუსტიციის მინისტრის, დამფუძნებელი კრების დეპუტატის, სახელმწიფო დუმის წევრის ალექსანდრ კერენსკის ინტერვიუ. იგი წარსულს გაიაზრებს გაბოროტებისა და ლანძღვის გარეშე. გაგაცნობთ რამდენიმე ამონარიდს ბოლშევიკებსა და მათ ბელად ლენინზე.**

**— როცა ლენინი რუსეთში დაბრუნდა 1917 წელს, იგი იქ მართლაც ფართოდ იყო ცნობილი, როგორც საბჭოთა ისტორიკოსები ამტკიცებენ?**

— ხალხთა მასებში — არა. მაგრამ ლენინს კარგად იცნობდნენ პოლიტიკურ წრეებში. საყოველთაო ამნისტიის შემდეგ ქვეყანაში რაღაც ექსტაზი სუფევდა. თვით მილიუკოვის გაზეთშიც კი, რომელიც არასდროს გამოირჩეოდა ბოლშევიკების მიმართ სიმპათიით, პეტროგრადში ლენინის დაბრუნების შემდეგ დაიწერა: „სოციალისტთა ლიდერი ლენინი უნდა იყოს რუსეთის პოლიტიკურ არენაზე. ჩვენ მას უნდა ვუთხრათ „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ იმის მიუხედავად თუ რას ვფიქრობთ მის შეხედულებებზე“.



**— რითი გამოირჩეოდა ლენინი? ცოდნით, ორატორული ხელოვნებით, ორგანიზატორული თუ ადმინისტრაციული თვისებებით?**

— ის დიდი ორგანიზატორი იყო. მისი ძალა ორგანიზების უნარში იყო. მეორე მხრივ, და ეს მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, მან არ იცოდა პოლიტიკურ ცხოვრებაში ისეთი ცნებები, როგორიც არის სხვისი პატივისცემა, თავშეკავება, პოლიტიკური ხაზის ერთგულება. ის მზად იყო ნებისმიერ რამეზე, თუ ეს სჭირდებოდა პარტიას და „მსოფლიო რევოლუციას“.

**— რატომ ძალიან მკაცრად არ ებრძოდით იმ ადამიანს, რომელიც თქვენთვის საშიშროებას წარმოადგენდა?**

— იმიტომ, რომ ლენინი მაშინ ჩემთვის სახიფათო არ იყო. იმ დროს მთელ რუსეთში კაციშვილს არ სწამდა, რომ უკიდურესად მემარცხენე პარტიის მეთაური შეიძლებოდა სახიფათო ყოფილიყო ქვეყნის საძირკვლისთვის, მისი მომავლისთვის. როცა მე ლენინის 17 აპრილის გამოსვლის შესახებ შევიტყვე, ჩემი პირველი ემოციური სურვილი იყო, შევხვედროდი მას, გველაპარაკა ჩვენს ბავშვობაზე სიმბირსკში, მშობლებზე... (მათი მამები მეგობრობდნენ — **რედ.**) საიდუმლო როდია, რომ ზოგიერთი პოლიტიკოსი მომმართავდა წინადადებით: ლენინი და მისი მეგობრები, რომლებიც მასთან ერთად ჩამოვიდნენ რუსეთში გერმანული მატარებლით, ჩაგვესვა ძველ ბარჟაში, გაგვეყვანა ფინეთის ყურეში და ჩაგვეძირა.

**— მაინც როგორი იყო ლენინი?**

— თქვენ რომ ის ქუჩაში შეგხვედროდათ, ვერასოდეს იფიქრებდით, რომ ამ ადამიანში არის რაიმე არაჩვეულებრივი. ლენინი უმოწყალო ტერორის მომხრე გახლდათ, არავითარი გულმოწყალება! მხოლოდ ასე შეძლებს უმცირესობა თავისი ხელისუფლება თავს მოახვიოს უმრავლესობას, ქვეყანას. როცა უკვე ემიგრაციაში მყოფი, მე ლენინის მეგობრებს ვეკითხებოდი განსხვავებაზე ლენინსა და სტალინს შორის, ყველა ამბობდა, ტერორთან მიმართებაში მათ შორის განსხვავება არ იყოო.

**— ბოლშევიკებმა აჯანყება ზუსტად იმ დროს დაიწყეს, როცა ავსტრია-უნგრეთმა რუსეთს სეპარატისტული ზავი შესთავაზა. ცნობა ამის შესახებ მოვიდა 6 ნოემბერს. როგორ განვითარდებოდა მოვლენები, ვენიდან წინადადება ზავის შესახებ, ერთი დღით ადრე რომ მიგეღოთ?**

—მე ახლა შევეხები ყველაზე ტრაგიკულ მომენტს რუსეთის ისტორიაში, ან სულაც მთელი მსოფლიოს ისტორიაში. როგორმე უნდა გაგვეძლო 1917 წლის საომარი კამპანიის დასრულებამდე. უკვე მოვამზადეთ სეპარატისტული ზავი ბულგარეთსა და თურქეთთან, მაგრამ არ გვქონდა ცნობები ავსტრია-უნგრეთზე. დროებითი მთავრობა ორ ცეცხლს შუა იყო: ერთი მხრივ — გერმანია და ბოლშევიკები, რომლებიც შიშობდნენ, რომ ავსტრია-უნგრეთი ჩვენთან სეპარატისტულ ზავს დადებდა, მეორე მხრივ — საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებები, რომლებსაც ჩვენ მიმართ არავითარი სიმპათია არ ჰქონდათ. და აი, სრულიად მოულოდნელად შვედეთიდან ინფორმაცია მივიღეთ: კაცი მოვიდა ავსტრიელთა წინადადებით სეპარატისტული ზავის შესახებ. მაგრამ უკვე ძალიან გვიანი იყო — ბოლშევიკებმა აჯანყება დაიწყეს...

მოამზადა
**სანდრო ალექსიძემ.**

ინფორმაცია

# ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები უკვე ცნობილია

**2011 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები უკვე ცნობილია. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა და სამინისტროს გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა მაია მიმინოშვილმა ბრიფინგი გამართეს.**

**წელს აბარებდა 34 000-მდე აბიტურიენტი, მათაგან მხოლოდ 2500-მდე აბიტურიენტი ვერ გახდა სტუდენტი, 22236 აბიტურიენტი უკვე ჩაირიცხა მისთვის სასურველ აკადემიურ პროგრამებზე. მსურველთაგან მხოლოდ 7%-მა ვერ გადალახა ზოგადი უნარების გამოცდა.**

**10 000 აბიტურიენტს აქვს შესაძლებლობა, მეორადი ჩარიცხვებით ჩაირიცხოს აკადემიურ პროგრამებზე ან მეოთხე, მეხუთე დონის პროფესიულ პროგრამებზე. პროფესიულ პროგრამებზე 1318 აბიტურიენტი ჩაირიცხა, ქართულ ენაში მომზადების პროგრამებზე 424 მსურველი ჩაირიცხა. გასულ წელს ეთნიკური უმცირესობებიდან მხოლოდ 200-მდე მსურველი ჩაირიცხა.**

**პირველადი ჩარიცხვების შემდეგ დარჩენილი ადგილების ჩამონათვალი სამინისტროს გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე 31 აგვისტომდე განთავსდება. განმეორებითი განცხადებების მიღება 31 აგვისტოს დაიწყება და 5 სექტემბრის ჩათვლით გასტანს.**



**განცხადებები მიიღება: თბილისში — ტექნიკური უნივერსიტეტის მე-6 კორპუსში; რეგიონებში — საგანმანათლებლო რესურსცენტრებში.**

**ვადები უახლოეს დღეებში სამინისტროს გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდება.**

**განმეორებითი განაცხადის შეტანის შესაძლებლობა ექნება აბიტურიენტს, რომელიც ვერ ჩაირიცხა მის მიერ მითითებულ ვერც ერთ პროგრამაზე და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადალახა:**

**— აკადემიური პროგრამისთვის მოთხოვნილ 4 გამოცდაში;**

**— უმაღლესი პროფესიული პროგრამებისათვის — ზოგად უნარებში,**

**— ქართული ენისთვის მოსამზადებელ პროგრამაზე — ზოგად უნარებში შესაბამის ენაზე.**

**ამასთან, როგორც დღევანდელ ბრიფინგზე ითქვა, აკრედიტაცია გაუუქმდა უნივერსიტეტ „იბერიას„, იქ ჩარიცხული აბიტურიენტები საბუთების გადატანას ნებისმიერ აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში შეძლებენ.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

**ამერიკის შეერთებული შტატების ფაქტორი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს რუსეთის ადმინისტრაციისა და მისი წარმომადგენლების პოლიტიკურ აზროვნებაში, კერძოდ კი კავკასიასთან დამოკიდებულებაში. აღნიშნულ გეოგრაფიულ არეალში შტატებისა და რუსეთის ხელისუფლების პოზიციები ერთმანეთს, სავარაუდოდ, არ ემთხვევა. ყოველი შემთხვევისთვის, ის, რაც ზედაპირზე ჩანს, აღნიშნული თქმის საშუალებას ნამდვილად იძლევა, თუმცა, ცხადია, რომ ოდესმე, ყველაფერს ექნება დასასრული და მათ შორის ამ გაუგებრობასაც. შესაბამისად, რეგიონის ისეთ ქვეყანას, როგორიც საქართველოა, ბუნებრივია, აქვს ინტერესი, თუ როგორია შტატების ახალი ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა ზოგადად და, კერძოდ, კავკასიის, კონკრეტულად კი საქართველოს მიმართ.**

# შეერთებული შტატები და კავკასია

რუსეთის პოლიტიკურ წრეებში გავრცელებულია მოსაზრება, რომ შეერთებული შტატები თავის მოკავშირესთან - ბრიტანეთთან ერთად აქტიურად მუშაობს რუსეთის დაშლაზე, ევრაზიის ენერგორესურსებზე საკუთარი კონტროლის დაწესების მიზნით, რაც საშუალებას მისცემს, შეინარჩუნოს ეკონომიკური სტაბილურობა, სახელმწიფო უსაფრთხოება და მსოფლიო ბატონობა.

აღნიშნული მოსაზრების ავტორების თქმით, ამისთვის ზემოხსენებული მოკავშირეები იყენებენ რუსეთის ყველაზე სუსტ წერტილს - ჩრდილოეთ კავკასიას, სადაც ისინი სხვადასხვა აქტიურობით სეპარატიზმსა და სეპარატისტებს ეხმარებიან. მსგავსი განცხადებები, არაერთხელ გაკეთებულა მაღალჩინოსნების, ანალიტიკოსების და ჩრდილო-კავკასიური რესპუბლიკების ლიდერთა მხრიდან.



**США и Великобритания заинтересованы в дестабилизации обстановки на Северном Кавказе. Константин Сивеов: США поддерживают террористов на Северни Кавказе**

ბუნებრივი იქნება, რომ ასეთ დროს შეერთებული შტატებისა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა რუსეთის ადმინისტრაციის თვალში იგივე კონტექსტში იქნება დანახული და აღიქმება, როგორც რუსეთისთვის დამანგრეველი საფრთხე. სავარაუდოდ, შესაძლებელია რუსეთში ფიქრობდნენ, რომ საქართველომ ჩრდილოეთ კავკასიაში არეულობის შეტანის პლაცდარმის ფუნქცია უნდა შეასრულოს.

ისევე როგორც სამხრეთი კავკასიისთვის, საქართველოსთვისაც მნიშვნელოვანია, რა ადგილი უკავია შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში აღნიშნულ რეგიონს მის პრიორიტეტებში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თვალშისაცემია, რომ შტატები რეგიონის მიმართ სულ უფრო მეტ ყურადღებას ამჟღავნებს. თუ გავითვალისწინებთ შტატების დამოკიდებულებას ნავთობპროდუქტებზე, რომლის იმპორტიც ერთ დღეში ამერიკის საგარეო ვალს ლამის 2 მილიარდი დოლარით ზრდის არ შეიძლება რეგიონი ბუნებრივად არ წარმოადგენდეს მისი ინტერესების ობიექტს, თუმცა, მსოფლიო ტერორიზმთან ბრძოლა, შიდა ეკონომიკური პრობლემები, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები, დაძაბული ურთიერთობა ირანთან და ჩინეთის თემა შესაძლებელია ობამას ადმინისტრაციისთვის გაცილებით აქტუალური პრობლემები იყოს.

ამ ყველაფერს კი რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობების გადატვირთვა ემატება. შესაბამისად, ექსპერტებს შორის გამუდმებით მიმდინარეობს დავა იმის შესახებ, არის თუ არა კავკასია შტატების პირველხარისხოვანი პრიორიტეტების რიცხვში.

კიდევ ერთი თემა, რაც ანალიტიკოსებს შორის აქტიური განხილვის თემად იქცა, არის ბარაკ ობამას წინამორბედის პოლიტიკის ანალიზი პოსტსაბჭოთა სივრცეში. ნაწილი მიიჩნევს, რომ ბუშის პოლიტიკის წარუმატებლობის მიზეზები იყო ის, რომ, ხმამაღალი დეკლარირების მიუხედავად, ეს თემა არ მიეკუთვნებოდა უპირველეს პრიორიტეტებს. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები კიდევ ერთი ფაქტორი, ეს არის შტატების გეოგრაფიული სიშორე რეგიონის ქვეყნებთან, რომელიც შესაძლებელია ზღუდავდეს ვაშინგტონის შესაძლებლობებს. ეს უკანასკნელი კი პრობლემას არ წარმოადგენდეს მოსკოვისთვის. ამ ფაქტორის მნიშვნელობა სავარაუდოდ კარგად გამოჩნდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, როდესაც ამერიკის მკვეთრი პოლიტიკური მხარდაჭერის ფონზე რუსეთმა მაინც მოახერხა აგრესიის განხორციელება და საერთაშორისო საზოგადოება მოულოდნელი ფაქტის წინაშე დააყენა.

ექსპერტთა ნაწილი ფიქრობს, რომ ობამას ადმინისტრაციამ შეცვალა პოლიტიკის სტილი და აქცენტები გადაიტანა პარტნიორ ქვეყნებთან ინსტიტუციურ თანამშრომლობაზე, და რუსეთთან პოზიციურ ბრძოლაზე გადავიდა. სავარაუდოდ შექმნილი სიტუაციის თავისებურება შესაძლებელია შემდეგში იყოს: „ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს დაინტერესება კავკასიის რეგიონით და კერძოდ საქართველოთი. მიუხედავად მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ფინანსური კაპიტალისა, რომელსაც შტატები რეგიონში და კონკრეტულად საქართველოში ხარჯავს, რეგიონი არ განეკუთვნება აშშ-ის სასიცოცხლო ინტერესების სფეროს. რეგიონიდან საკმაო გეოგრაფიული დაცილების და შეღწევადობის შეზღუდულობის გამო, შესაძლებელია შტატების მოქმედებები საგრძნობლად არის შეზღუდული. რაც შეეხება რუსეთს, ამერიკისგან განსხვავებით ის კავკასიის რეგიონს და, კონკრეტულად, საქართველოს მისი სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების სფეროში ხედავს. გეოგრაფიული სიახლოვე კი, მას სწრაფი და პირდაპირი ჩარევის საშუალებას აძლევს, მათ შორის სამხედრო მოქმედებების ჩათვლით“.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ნავთობზე დამოკიდებულება, შესაძლოა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია შტატებისთვის რეგიონით დაინტერესების თვალსაზრისით. რეგიონში დაგეგმილი პროექტების ერთობლიობა ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მიმდინარეობს აქტიური ბრძოლა კასპიის, ყაზახეთისა და თურქმენეთის ძალიან დიდ ენერგომარაგებზე, თუმცა ობამას ადმინისტრაციის ახალი ენერგო-პოლიტიკა დამატებითი თავსატეხია ექსპერტებისთვის. აღნიშნული პოლიტიკის მიზანია, რომ შეერთებული შტატების მეტსახელი „ნავთობის ნარკომანი“ წარსულს ჩაბარდეს, შავი ოქროს მოხმარების მაჩვენებელი 1/3 შემცირდეს და განვითარდეს ადგილობრივი ბუნებრივი აირის მოპოვება.

**Obama: We Can Reduce Oil Consumption by 35 Percent or More**

ნიშნავს თუ არა ეს, რომ უახლოეს რამდენიმე წელიწადში შტატებს სულ უფრო გაუნელდება ინტერესი რეგიონის მიმართ? და თუ ეს ასე მოხდა, როგორი იქნება საქართველოს პოლიტიკური მომავალი მაშინ როდესაც საუბრები რუსულ ანალიტიკურ წრეებში საქართველოს დესუვერენიზაციაზე და არა მარტო აქ, არ წყდება?

**Существование Грузии – роскошь, которую Росия не может себе позволить**

ასეთ ვითარებაში, საქართველოს სასარგებლოდ შესაძლებელია დადებითად მუშაობდეს ის ფაქტი, რომ რუსეთის მოქმედებებმა 2008 წლის აგვისტოში სერიოზული ზიანი მიაყენა შეერთებული შტატების პრესტიჟს მსოფლიოში. ხელახალი აგრესიის შემთხვევაში კი შტატების პრესტიჟი, შესაძლებელია კიდევ უფრო შეირყეს, რაც მძიმე დარტყმა იქნება მისი ავტორიტეტისთვის. მსოფლიოში ისეთი მოსაზრებების დამკვიდრება, რომ შტატები ვერ იცავს თავის მოკავშირეებს და რომ მასთან პოლიტიკური მეგობრობა ვერ იძლევა უსაფრთხოების გარანტიებს, შესაძლებელია ნიშნავდეს ამერიკის პოლიტიკური წონის შემცირებას საერთაშორისო არენაზე და მისი პოზიციების შესუსტებას. ამდენად უნდა ვივარაუდოთ, რომ შტატები გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას, თუმცა მოსალოდნელია რომ აქცენტი მაინც ინსტიტუციურ თანამშრომლობაზე გაკეთდება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია 2009 წელს ვიცე-პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენის ვიზიტი საქართველოში და მესიჯები, რომელიც მან საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში გააკეთა.

მაგრამ ამ განცხადების ფონზე, მეტად მნიშვნელოვანია საქართველოში შეერთებული შტატების ელჩის განცხადება იმ დახურული კორესპონდენციიდან, რომელიც მან ადმინისტრაციას ბაიდენის ვიზიტის შემდეგ მიწერა და რომელიც ვიკილიკსის საშუალებით გახდა ცნობილი:

„სააკაშვილი უნდა დავარწმუნოთ, რომ, შესაძლოა, დაკარგოს ის უსაზღვრო კეთილგანწყობა, რომელიც ავღანურ მისიაში საქართველოს ექსტრაორდინარული წვლილის გამო დაიმსახურა. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ პრეზიდენტი ვერ შეძლებს საქართველოში გლობალური დემოკრატიული პროცესების ერთი ბიძგით გაძლიერებას“.

რუსეთის კვლევების
საქართველოს ინსტიტუტი

**Presa.ge**

# დედამიწის ზურგზე

## რუსეთელი „იარაღის ბარონი“, რომელმაც გააკეთა ის, რაც ვერ შეძლო ვიქტორ ბუტმა, დააპატიმრეს საბერძნეთში დასვენების დროს



ვლადიმირ გავრილოვი დააპატიმრეს ქალაქ სალონიკის სასტუმროში, სადაც იგი საგზურით ჩავიდა მეუღლესთან ერთად. რუსეთელს ბრალს სდებენ 10 ათასი კალაშნიკოვის ავტომატის მიყიდვაში კოლუმბიელი მეამბოხეებისთვის „ფარსის“ დაჯგუფებიდან. დანაშაულებრივი სქემის უშუალო ორგანიზატორად ითვლება პერუს დაზვერვის ხელმძღვანელი — მან უკვე მიიღო 20 წლის პატიმრობის სასჯელი.

* * *

## ამერიკელებმა გააცილეს ოცი კაცის მკვლელი ქარიშხალი „აირენი“, რომელმაც მანჰეტენისგან „აკვაპარკი“ მოაწყო



ამჟამინდელი გრიგალი აღმოჩნდა ერთ-ერთი ყველაზე ძვირი ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში — ზარალმა, ზოგიერთი მონაცემებით, 45 მილიარდი დოლარი შეადგინა. ბევრი რაიონი დატბორილი აღმოჩნდა. აღდგენას რამდენიმე კვირა დასჭირდება. თუმცა, ნიუ-იორკი გადაურჩა მასშტაბურ ნგრევებს, რასაც ხელისუფლება ელოდა. გრიგალის შესახვედრად ახლა ემზადებიან კანადაში: გადაიდო ასობით ავიარეისი.

* * *

## თელ-ავივში ღამის კლუბის მახლობლად არაბმა გატაცებული ტაქსითა და დანით მოაწყო ტერორისტული აქტი



დამნაშავემ გაიტაცა ავტომობილი, გაიტანა ორი ფეხით მოსიარულე ტროტუარზე და დაეჯახა პოლიციის მანქანას კლუბის მახლობლად, შემდეგ გამოვარდა ქუჩაში ყვირილით „ალაჰ აკბარ!“, თავს დაესხა იარაღით სასაზღვრო პოლიციის მებრძოლებს, ცდილობდა კლუბში შეჭრას. ახალგაზრდობიდან, რომლებიც კლუბში იმყოფებოდნენ, არავინ დაზარალებულა.

* * *

## დაასახელეს რუსეთელების სახელები, რომლებიც თურქეთში დაიჭრნენ. პლაჟზე აფეთქების შემდეგ ისინი დასასვენებლად დარჩნენ



დაზარალებულებმა მსუბუქი ტრავმები მიიღეს აფეთქების შედეგად გაფანტული ქვიშისაგან მათ ძირითადად დაჟეჟილობა მიიღეს. რუსეთელები დაბრუნდნენ სასტუმროში და სამშობლოში ადრე დაბრუნებას არ აპირებენ. ხუთმა კაცმა გერმანიიდან და ნორვეგიიდან მიიღო უფრო სერიოზული დაზიანება და ისინი ჰოსპიტალში იმყოფებიან.

* * *

## სალვადორმა ავღანეთში სამხედრო კონტინგენტი გაგზავნა



ჯგუფი 22 კაცის შემადგენლობით ტექნიკურ მხარდაჭერას განახორციელებს იქ მყოფ სხვა ქვეყნების საჯარისკაცო ქვედანაყოფებთან. სამხედრო მოსამსახურეები სალვადორიდან „არ მიიღებენ მონაწილეობას საბრძოლო მოქმედებებში“. მისიაში სალვადორის სამხედროების მონაწილეობის წინააღმდეგ ხმა მისცა 39-მა 84 კანონმდებლიდან.

* * *

## ტრიპოლისათვის ბრძოლის დროს „ლოკერბიელი ბომბისტი“ გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს



შოტლანდიის ხელისუფლებამ რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, რომ დაკარგეს კონტაქტი არეულობის გამო, რაც სუფევდა ლიბიის დედაქალაქში საბრძოლო მოქმედებების დროს. მაშინ ვიღაც შეიარაღებულმა პირებმა გაიყვანეს იგი სასტუმროდან, რომელშიც ცხოვრობდა. ამჟამად მიგრახი კვლავ აღმოაჩინეს ტრიპოლში. სავარაუდოდ იგი „სიკვდილის პირასაა“.

* * *

## თვითმკვლელმა ბაღდადში უდიდეს სუნიტურ მეჩეთში თავი აიფეთქა: დაიღუპა 28 კაცი



ტერორისტული აქტის შედეგად დაიჭრა 37 კაცი, მათ შორის სუნიტური ვაკფომის (რელიგიურ საქმეთა და ქონების ორგანიზაციაა) ხელმძღვანელი, დაიღუპა მისი მოადგილე. უმ ალ-კურას მეჩეთში არის ერაყის უდიდესი სუნიტური ორგანიზაციის — ისლამელ ღვთისმეტყველთა ასოციაციის შტაბ-ბინა.

◎ 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

# ენვერ ხოჯა

# ხრუშჩოვმა სტალინი ორჯერ მოკლა



თავად ხრუშჩოვი გვიამბობდა, თუ როგორ ეუბნებოდა მათ სტალინი, რომ ისინი საბჭოთა კავშირს მიჰყიდიან იმპერიალიზმს. ფაქტობრივად ასეც მოხდა, მისი სიტყვები დადასტურდა.

მსოფლიოს ხალხები, მსოფლიო პროლეტარიატი, ფხიზელი ადამიანები შექმნილ სიტუაციებში თავად სუფთა გულებით შეძლებენ, განსაჯონ სტალინის პოზიციის სისწორე. მხოლოდ ფართო პოლიტიკურ, იდეოლოგიურ, ეკონომიკურ და სამხედრო პლატფორმაზე შეუძლია ხალხს შეაფასოს მისი მარქსისტულ-ლენინური ხაზის სისწორე.

მთლიანად სტალინის საქმის შეფასების დროს თითოეულს შეუძლია გაიგოს ამ გამოჩენილი მოღვაწის გენიალობა და კომუნისტური სულისკვეთება და დარწმუნდეს, რომ მის მსგავს ხალხს ცოტას იცნობს თანამედროვე მსოფლიო.

*(ე.ხოჯას ი.ბ.სტალინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სტატიიდანძ*

## ნაწილი I

## სტალინთან ერთად

### პირველი შეხვედრა. 1947 წლის ივლისი

1947 წლის 14 ივლისს ჩავედი მოსკოვში მეგობრული ვიზიტით. მე ვხელმძღვანელობდი ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და ალბანეთის კომუნისტური პარტიის პირველ ოფიციალურ დელეგაციას.

აუწერელი იყო ჩემი და სხვა ამხანაგების სიხარული, როდესაც ცენტრალურმა კომიტეტმა დაგვავალა, წავსულიყავით მოსკოვში და შევხვედროდით დიდ სტალინს. სტალინთან შეხვედრაზე ვოცნებობდით ყოველთვის, დღისითაც და ღამითაც, მას შემდეგ, რაც გავეცანით მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. ეს სურვილი კიდევ უფრო გაძლიერდა ანტიფაშისტური ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს. გამოჩენილი ფიგურების — მარქსის, ენგელსისა და ლენინის შემდეგ ამხანაგი სტალინი ჩვენთვის იყო მეტად ძვირფასი და პატივსაცემი, ვინაიდან მისი მითითებანი გვხელმძღვანელობდა ბრძოლაში ალბანეთის კომუნისტური პარტიის, როგორც ლენინური ტიპის პარტიის დაფუძნებისათვის, შთაგვაგონებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს და გვეხმარებოდა სოციალიზმის მშენებლობაში.

სტალინთან საუბრები და მისი რჩევები უნდა გამხდარიყო გზის მანათობელი ჩვენს დიდ და რთულ მუშაობაში მოპოვებულ გამარჯვებათა განსამტკიცებლად.

აი რატომ იყო ჩვენი პირველი ვიზიტი საბჭოთა კავშირში აღუწერელი სიხარული და უდიდესი კმაყოფილება არა მხოლოდ კომუნისტებისა და ჩვენთვის, დელეგაციის წევრებისთვის, არამედ მთელი ალბანელი ხალხისთვისაც, რომელიც მოუთმენლად ელოდა ამ ვიზიტს, რაც უზარმაზარი ენთუზიაზმით აღიქვა.

სტალინმა და საბჭოთა მთავრობამ, რაც საკუთარი თვალით ვნახეთ და გულით განვიცადეთ, ჩვენი დელეგაცია მიიღეს მეტად გულითადად და თბილად, გულწრფელი სიყვარულით.

მოსკოვში ჩვენი ყოფნის 12 დღის განმავლობაში რამდენჯერმე შევხვდით ამხანაგ სტალინს. მასთან საუბრებს, მის გულწრფელ და ამხანაგურ რჩევებსა და დარიგებებს ჩვენ ვუფრთხილდებით და მთელი სიცოცხლის განმავლობაში უნდა გავუფრთხილდეთ, როგორც რაღაც ძვირფასს...

არასოდეს დამავიწყდება პირველი შეხვედრა იოსებ სტალინთან. ეს იყო 1947 წლის 16 ივლისს, მოსკოვში ჩვენი ყოფნის მესამე დღეს...

სწორედ იმ დღეს ჩვენ მიგვიღო და დიდხანს გვესაუბრა იოსებ სტალინი.

თავიდანვე ისეთი ამხანაგური ატმოსფერო შეგვიქმნა, რომ თავი ვიგრძენით მშვიდად, მოგვეხსნა ის მღელვარება, რასაც განვიცდიდით მის კაბინეტში შესვლის წინ — ვრცელი დარბაზი გრძელი მაგიდით სხდომებისთვის, მისი სამუშაო მაგიდის გვერდით. პირველი სიტყვებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ისეთი გრძნობა გვქონდა, თითქოს დიდ სტალინს კი არ ვესაუბრებოდით, არამედ ვიჯექით ამხანაგთან, რომელსაც ადრე ვიცნობდით, ვისთანაც მრავალჯერ გვისაუბრია. მაშინ მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი, პატარა პარტიისა და პატარა ქვეყნის წარმომადგენელი. ამიტომ რომ შეექმნა ჩემთვის უფრო თბილი და ამხანაგური ატმოსფერო, სტალინი ხუმრობდა, სიყვარულით და დიდი პატივისცემით დაიწყო საუბარი ჩვენს ხალხზე, მის საბრძოლო ტრადიციებზე წარსულში და მის გმირობაზე ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ის ლაპარაკობდა წყნარად, მშვიდად და თავისებური, მიმნდობი სითბოთი.

სტალინმა, კერძოდ, გვითხრა, რომ ის განიცდის დიდ სიმპათიას ჩვენი ხალხისადმი, როგორც ბალკანეთის ზონის ძალიან ძველი ხალხისადმი, რომელსაც აქვს გმირობის ძველი ისტორია.

— მე კარგად ვიცნობ იმ გმირობას, რომელიც გამოიჩინა ალბანელმა ხალხმა ანტიფაშისტურ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში, — განაგრძო მან, — მაგრამ ჩემი ეს ცოდნა, ბუნებრივია, ვერ იქნება საკმაოდ ვრცელი და ღრმა, ამიტომ გთხოვთ, გვიამბოთ ცოტა რამ თქვენს ქვეყანაზე, თქვენს ხალხზე, აგრეთვე პრობლემებზე, რომლებიც ამჟამად გაწუხებთ.

ამის შემდეგ მე ავიღე სიტყვა და ვუამბე სტალინს ჩვენი ხალხის ვრცელ და სახელოვან ისტორიულ გზაზე, მის უსასრულო ბრძოლებზე თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის. განსაკუთრებით გავამახვილე ყურადღება ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პერიოდზე, მოვყევი ჩვენი კომუნისტური პარტიის, როგორც ლენინური ტიპის პარტიის დაარსებაზე, გადამწყვეტ როლზე, რომელიც მან შეასრულა და ასრულებს როგორც ერთადერთი ხელმძღვანელი ძალა ალბანელი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის, ძველი, ფეოდალურ-ბურჟუაზიული ხელისუფლების დამხობაზე, ახალი, სახალხო ხელისუფლების შექმნასა და ქვეყნის წარმატებულ წინსვლაზე. გამოვიყენე შემთხვევა და კიდევ ერთხელ გადავუხადე სტალინს გულწრფელი მადლობა მხარდაჭერისთვის.

შემდეგ ამხანაგ სტალინს ვუამბე იმ ღრმა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ გარდაქმნებზე, რაც სახალხო ხელისუფლების პირველ წლებში ხორციელდებოდა ალბანეთში...

სტალინს ესიამოვნა ჩვენი ხალხის მიღწეული წარმატებები.მას განსაკუთრებით აინტერესებდა ჩვენი მუშათა კლასი და გლეხობა.

— ჩვენი ხალხის უდიდესი უმრავლესობა, — ვუთხარი კერძოდ სტალინს მისი შეკითხვის პასუხად, — შედგება ღარიბი, შემდეგ კი საშუალო გლეხობისგან. მუშათა კლასი ჩვენთან მცირერიცხოვანია, საკმაოდ ბლომად გვყავს აგრეთვე ხელოსნები, ქალაქის მოსახლეობა, რომელიც ეწევა ვიწრო ვაჭრობას და უმნიშვნელო ოდენობის ინტელიგენცია. მშრომელთა ეს მასები გამოეხმაურნენ კომუნისტური პარტიის მოწოდებას, მოახდინეს მობილიზება სამშობლოს გათავისუფლებისთვის ბრძოლაში და ახლა მჭიდროდ არიან დაკავშირებული პარტიასთან და სახალხო ხელისუფლებასთან.

— თუ აქვს მუშათა კლასს ალბანეთში კლასობრივი ბრძოლის ტრადიციები? — შემეკითხა სტალინი.

— ქვეყნის განთავისუფლებამდე ეს კლასი, — ვუთხარი მას, — მცირერიცხოვანი იყო. ქვეყნის ზოგიერთ ქალაქში წარსულში მუშები აწყობდნენ გაფიცვებს, თუმცა ისინი მცირერიცხოვანი იყო და არ უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, ჩვენი კომუნისტური პარტია ჩამოყალიბდა, როგორც მუშათა კლასის პარტია, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით, გამოეხატა და დაეცვა პროლეტარიატისა და მშრომელთა ფართო მასების ინტერესები, პირველ რიგში ალბანელი გლეხობისა...

სტალინმა დაწვრილებით გამოგვკითხა საშუალო და ღარიბი გლეხობის მდგომარეობის შესახებ ჩვენს ქვეყანაში...

ჩემი საუბრის შემდეგ სტალინმა თქვა, რომ გლეხობას პირველად ეშინია კომუნიზმისა, ვინაიდან ფიქრობენ, რომ კომუნისტები ჩამოართმევენ მათ მიწებს და ყველაფერს, რაც აქვთ. მტრები ბევრს ესაუბრებიან გლეხობას ამ მიმართულებით, რათა ჩამოაშორონ იგი მუშათა კლასს. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური პარტიის გულდასმით და შეუპოვარ მუშაობას, რომ გლეხობა განუხრელად იყოს დაკავშირებული პარტიასთან და მუშათა კლასთან.

როდესაც შეაფასა ჩვენი პარტიის მუშაობა მასებთან საერთოდ და გლეხობასთან განსაკუთრებით, სტალინმა მოგვცა ძვირფასი რჩევები ჩვენი მომავალი მუშაობის შესახებ. ყოველივე ამის გარდა მან გამოთქვა აზრი იმის შესახებაც, რომ რადგან მის რიგებში გლეხი კომუნისტების პროცენტი უფრო მნიშვნელოვანია, დაერქვას ალბანეთის შრომის პარტია. ყოველ შემთხვევაში, — აღნიშნა მან, — ეს მხოლოდ ჩემი აზრია, პარტია კი თქვენია და მან უნდა გადაწყვიტოს ეს.

მე მადლობა გადავუხადე ამ ძვირფასი აზრისთვის და ვუთხარი მას:

— ჩვენ დავაყენებთ თქვენს წინადადებას პარტიის პირველ ყრილობაზე, რომელსაც ჩვენ უკვე ვამზადებთ, და დარწმუნებული ვარ, რომ პარტიის როგორც ქვედა ფენები, ისე მისი ხელმძღვანელობა მიიჩნევს მას მნიშვნელოვნად და მხარს დაუჭერს მას.

* * *

სტალინთან და მოლოტოვთან ჩვენ დაწვრილებით ვისაუბრეთ ომით დანგრეული ქვეყნის აღდგენისა და ახალი ალბანეთის მშენებლობის პრობლემებზე. მე აღვუწერე მათ ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა, პირველი სოციალისტური გარდაქმნები ეკონომიკის დარგში და ჩვენს წინ გაშლილი ფართო პერსპექტივები, ჩვენს მიერ მიღწეული წარმატებები, წამოჭრილი რთული პრობლემები და დიდი სირთულეები.

სტალინი კმაყოფილებას გამოთქვამდა ჩვენს მიერ მიღწეული წარმატებების გამო და დროდადრო მაძლევდა სხვადასხვა შეკითხვებს. მას განსაკუთრებით აინტერესებდა ჩვენი სოფლის მეურნეობის მდგომარეობა, ალბანეთის კლიმატური პირობები, სასოფლო-სამეურნეო კულტურები, რომლებიც ტრადიციულად მოჰყავს ჩვენს ხალხს და ა.შ.

— რომელი მარცვლეული მოგყავთ უფრო მეტად? — მკითხა მან კერძოდ.

— პირველ რიგში, სიმინდი, — ვუპასუხე მე, — შემდეგ ხორბალი, ჭვავი.

— სიმინდს არ ეშინია გვალვისა?

— კი, ეშინია, — ვუპასუხე მას, — გვალვა ძალიან დიდ ზარალს გვაყენებს, მაგრამ, ჩვენი სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის კვალობაზე, ისევე როგორც პურის უკმარისობის გამო, ჩვენმა გლეხმა ისწავლა სიმინდისგან რაღაც უფრო მეტის მიღება, ვიდრე ხორბლისგან. ვლებულობთ ზომებს წყალსარინი და სარწყავი ქსელის შესაქმნელად, ჭაობების ამოსაშრობად.

ის უსმენდა ჩემს პასუხებს, უფრო დაწვრილებით მეკითხებოდა ბევრ რამეზე, ხშირად მეტად ძვირფას რჩევებს გვაძლევდა. მაგალითად, მახსოვს, რომ იმ საუბრის დროს სტალინი დაინტერესდა, თუ რის საფუძველზე განხორციელდა აგრარული რეფორმა ალბანეთში, რამდენი პროცენტი მიწა გადაეცა ღარიბ და საშუალო გლეხობას, თუ შეეხო ეს რეფორმები რელიგიურ დაწესებულებებს და ა.შ.

როდესაც ვსაუბრობდით დახმარების შესახებ, რასაც სახალხო დემოკრატიის სახელმწიფო უწევდა გლეხობას, მუშათა კლასის გლეხობასთან კავშირის შესახებ, სტალინი შემეკითხა ტრაქტორების შესახებ. მას უნდოდა გაეგო, გვქონდა თუ არა ალბანეთში სამანქანო-სატრაქტორო სადგურები და როგორ იყო ისინი ორგანიზებული. როდესაც ჩემი პასუხი მოისმინა, მან მოგვცა რამდენიმე ღირებული რჩევა.

— სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, — თქვა მან, კერძოდ, — უნდა შექმნათ და განამტკიცოთ. მათ კარგად უნდა დაამუშაონ როგორც სახელმწიფო და კოოპერატიული მიწები, ისე გლეხების მიწები. ტრაქტორისტები ყოველთვის უნდა ეხმარებოდნენ გლეხებს, უნდა ერკვეოდნენ სოფლის მეურნეობაში, იცოდნენ სოფლის მეურნეობა, კულტურა, ნიადაგები, და ეს ცოდნა გამოიყენონ ცხოვრებაში, რათა აუცილებლად მიაღწიონ წარმოების ზრდას. ამას აქვს დიდი მნიშვნელობა, — განაგრძო მან, — წინააღმდეგ შემთხვევაში ზარალი ყოველმხრივი იქნება. როდესაც ჩვენ ვქმნიდით პირველ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს, ხშირად ხდებოდა ისე, რომ ვამუშავებდით გლეხების მიწებს, მაგრამ წარმოება არ იზრდებოდა. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ტრაქტორისტისთვის საკმარისი როდია იცოდეს ტრაქტორის ტარება, ის ამავე დროს კარგი მიწათმოქმედიც უნდა იყოს, უნდა იცოდეს, როდის და როგორ დაამუშაოს მიწა.

— ტრაქტორისტები, — განაგრძო სტალინმა, — ესენი არიან მუშათა კლასის წარმომადგენლები, რომლებიც მუშაობენ მუდმივ, ყოველდღიურ და უშუალო კონტაქტში გლეხობასთან. ამიტომ ისინი უნდა მუშაობდნენ მეტად კეთილსინდისიერად, რომ განამტკიცონ კავშირი მუშათა კლასსა და მშრომელ გლეხობას შორის.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 150, 151

ჭიდაობა

# მედლების სრული კომპლექტით

**41 ქვეყნის 220 ნორჩი ფალავანი მონაწილეობდა უნგრეთის ქალაქ სომბათჰეიში გამართულ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატზე.**

აღსანიშნავია, რომ ასეთ სოლიდურ კამპანიაში წარმატებით იასპარეზეს ქართველმა „კლასიკოსებმა“, რომლებმაც 3 მედალი მოიპოვეს.

მათგან „ოქროს“ რამაზ დარჩიძე (42 კგ.ძ დაეუფლა, „ვერცხლს“ – მსოფლიო ჩემპიონ გურამ გედეხაურის ვაჟი ზურაბ გედეხაური (100 კგ.ძ, რომელიც რუსეთიდან სამშობლოში შარშან დაბრუნდა, ხოლო „ბრინჯაოს“ – ლაშა გობაძე (76 კგ.ძ.

დავძენთ, რომ მაღიარების მიწაზე ორჯერ მოეწყო ქართულ-რუსული ფინალი და მეტოქეები ერთმანეთს „მშვიდობიანად“ დასცილდნენ: თუ დარჩიძემ არიფ მირზაევს სძლია, გედეხაურთან რევანში სოსლან ტუსკაევმა აიღო.

**მანუჩარ გიორგაძე**



კალათბურთი

# ოპტიმისტური მარცხი

**საკალათბურთო სამყაროში ბევრი როდი მოიძებნება ისეთი გუნდი, რომელთან შეხვედრაც ნებისმიერი მეტოქისთვის მზადყოფნის ბარომეტრად გამოდგება.**

სპორტის ამ სახეობის პრიორიტეტულობით, მისი განვითარებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომითა და სასახელო ტრადიციებით ერთ-ერთი გამორჩეულია ლიტვის ნაკრები. ბალტიისპირელებმა კონტინენტის პირველობა ორჯერ მეორე მსოფლიო ომამდე მოიგეს, ხოლო მესამედ – დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ.



ასე რომ, დამდეგი „ევროზასკეტის“ სტარტამდე რამდენიმე დღით ადრე ვილნიუსში მომავალი ფორუმის მასპინძლებთან გამართულ გენერალურ რეპეტიციას ბევრ კითხვაზე უნდა ეპასუხა.

**ლიტვა – საქართველო 88:80**

**(26:19, 15:21, 25:23, 22:17ძ**

**ლიტვა:** იასიკევიჩიუსი – 19, იასაიტისი – 16, იავტოკასი – 9, სონგაილა – 9, იანკუნასი – 6, პეტრავიჩიუსი – 6, კალნიეტისი – 5, კაუკენასი – 5, ლავრინოვიჩი – 5, დელინინკაიტისი – 4, ვალანჩუნასი – 2, ფოციუსი – 2 ქულა.

**საქართველო:** ფაჩულია – 19, სანიკიძე – 16, შენგელია – 15, ჰეინსი – 8, ცქიტიშვილი – 7, მარკოიშვილი – 6, შერმადინი – 6, ცინცაძე – 3 ქულა.

როცა ჩვენს თანამემამულეთა პერსპექტივებზე ვსაუბრობთ, გასათვალისწინებელია უცხოური ტოტალიზატორების ფსონებიც, რომლებიც იგორ კოშკოვის შეგირდებს ჯგუფში სანუკვარ მესამე ადგილს უქადიან (რუსეთი, სლოვენია, საქართველო, ბულგარეთი, ბელგია, უკრაინაძ. რაც შეეხება მთლიანად ტურნირის უმთავრეს ფავორიტებს, ასეთებად ესპანეთი და ლიტვა მიიჩნევიან.

ვფიქრობთ, სწორედ კესტუტის კემზურას კრებულთან გადატანილი ღირსეული ბრძოლის შემდეგ აიწია „ჯვაროსანთა“ აქციებმა ბუკმეკერთა ამქარში. დიახ, „სიმენს არენაზე“ იქაური გემოვნებიანი და მომთხოვნი აუდიტორიის წინაშე ერთ მუშტად შეკრული, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად კარგად მომზადებული და ტაქტიკურად განსწავლული ქართული ნაკრები წარსდგა, რომელსაც, თქვენ წარმოიდგინეთ, გამარჯვებაც კი შეეძლო.

მართალია, საბოლოოდ მაინც დავმარცხდით, მაგრამ თამაშის გასაუმჯობესებელი რეზერვებიც დავინახეთ. მაგალითად, დარწმუნებულნი ვართ, რომ რამდენიმე დღეში სრულად წარმოაჩენენ საკუთარ მდიდარ პოტენციალს მანუჩარ მარკოიშვილი და ვლადიმერ ბოისა, რომლებიც გასულ შაბათს პარტნიორებს ბევრ რამეში ჩამოუვარდებოდნენ.

ეს მით უფრო საშურია ჩვენი სათადარიგოთა სკამის ხარისხობრივი არასრულფასოვნების ფონზე – მოგეხსენებათ, ბრძოლის მთელი სიმძიმე 8 კალათბურთელის მხრებზე გადადის მაშინ, როცა განაცხადში 4 ტურისტია.

**გია პლატონიშვილი**

ძიუდო

# გვიღირს კი ამად?

**როგორც კულუარებიდან გამოჟონილი ინფორმაცია მოწმობს, ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრების ავსტრიელ მთავარ მწვრთნელს პეტერ ზაიზენბახერს ზღაპრული ხელფასი აქვს (მისი ზუსტი ოდენობა კონფიდენციალურია და კონტრაქტის მიხედვით გასაიდუმლოებულიაძ.**

შეგახსენებთ, რომ გუნდის ყოფილი თავკაცი სოსო ლიპარტელიანი იმიტომ დატოვეს თამაშგარე მდგომარეობაში, რომ მის შემცვლელს ლონდონის ოლიმპიადისთვის ჩვენებურები ღირსეულად უნდა მოემზადებინა, გზად კი წლევანდელ პარიზულ „მუნდიალზე“ რომელიმე „ჯვაროსანი“ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე აეყვანა.

საფრანგეთის დედაქალაქში ქართულ დელეგაციას ერთადერთი „ბრინჯაო“ ირაკლი ცირეკიძემ (100 კგძ მოუტანა. ჰოდა, იბადება კითხვა: გვიღირდა კი ასეთ მწირ მოსავლად ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის მოწვევა? კინკილა მედლით ჩვენი თანამემამულეები ხომ უცხოელი სპეციალისტის გარეშეც ბრუნდებოდნენ უწინდელი ანალოგიური ფორუმებიდან.

ვიმედოვნებთ, ოლიმპიურ თამაშებამდე ერთი წლით ადრე ჩაფლავებული უმნიშვნელოვანესი ასპარეზობა უმკაცრესი განსჯის საგანი გახდება. თანაც ეს ოპერატიულად უნდა მოხდეს, რადგან მალე სალიცენზიო ტურნირები დაიწყება.



**ვიტალი ჯაფარიძე**

მძლეოსნობა

# აღმართს დაღმართი მოსდევს

**სენსაციურად დაიწყო მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი: იამაიკელი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი უსეინ ბოლტი 100 მეტრზე სირბილში უმედლოდ დარჩა. მას ფალსტარტის გამო მოეცარა ხელი, პრიზიორები კი მისივე თანამემამულე იოჰან ბლეიკი, ამერიკელი უოლტერ დიქსი და კიმ კოლინზი (სენტ კიტსიძ გახდნენ.**



ასეთ შედეგს არავინ ელოდა, მით უმეტეს მაშინ, როცა ტრავმის გამო კორეის ქალაქ ტეგუს ბილიკებზე ვერ გამოვიდნენ კუნძულელის უმთავრესი კონკურენტები ტაისონი გაი და ასაფა პაუელი.

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**ევროპის ლიგასთან გამოთხოვებიდან მეოთხე დღეს თბილისის „დინამო“ და „ზესტაფონი“ ერთმანეთს XXIII ეროვნული ჩემპიონატის IV ტურის ცენტრალურ მატჩში შეხვდნენ.**

**როგორც მოსალოდნელი იყო, მწვრთნელებმა ძირითადი შემადგენლობის მთელი რიგი მოთამაშეები დაასვენეს, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, კურორტის საგზურის გამოწერა არც მსაჯებს, განსაკუთრებით – მთავარ არბიტრ ლევან კვარაცხელიას აწყენდა.**

სეზონი გვარიანად ჯერ არ გახურებულა, პირველი სკანდალი კი უკვე აგორდა მასპინძელთა კარში არგატანილი გოლის ჩათვლის გამო. ამ ეპიზოდში ლორიამ გორგიაშვილის დარტყმა კი მოიგერია, მაგრამ როგორც „შაოსნებმა“ მიიჩნიეს, ძელიდან ასხლეტილი ბურთი კარის ხაზის შიგნით დაეცა და „თეთრ-ლურჯებს“ თამაში ცენტრიდან განაახლებინეს – 1:0. ვიდეოგამეორებაზე ნათლად გამოჩნდა, რომ ასე არ მომხდარა, მაგრამ ფიფა-უეფას დირექტივების შესაბამისად, ტექნიკის მიღწევებს არც ჩვენში ითვალისწინებენ, რითაც, უპირველესად, ისევ ფეხბურთი ზარალდება.

ასეა თუ ისე, ატყდა ერთი გაწევ-გამოწევა, რასაც, ჯაჭვური რეაქციისა არ იყოს, ლორიასა და კაკუბავას გაფრთხილებები მოჰყვა. გარდა ამისა, დამაჯერებლობას მსაჯთა ბრიგადის კიდევ არაერთი გადაწყვეტილება იყო მოკლებული.

და ბოლოს: შეხვედრის მსვლელობისას ძალაუნებურად იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მატჩი ფრედ უნდა დასრულებულიყო. ასეთი ვარაუდი პრეს-ლოჟაში მაშინაც კი გამოითქმებოდა, როცა დვალმა სტუმრები კიდევ უფრო სოლიდურად დააწინაურა – 2:0.

მართლაც, მინდორზე შემცვლელად შესულმა ხისკომ ბოლო წუთებზე „დუბლი“ შეასრულა, თანაც ყოველგვარი წინაალმდეგობის გარეშე და ზემოთნახსენები პროგნოზი აახდინა – 2:2.



ბუნებრივია, ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, მხოლოდ საკუთარ ვერსიას გამოვთქვამთ, რისი უფლებაც არავის ჩამოურთმევია. აი, საბოლოო ვერდიქტის გამოსატანად კი, ვგონებთ, ფეხბურთის ფედერაციაში შესაბამისი კომიტეტია შექმნილი.

**დანარჩენი შედეგები:** „მეტალურგი“ – „ცხინვალი“ 0:0, „ბაია“ – „გაგრა“ 3:0 (ეხვაია, სამუშია, ქობალიაძ, „სიონი“ – „ვიტ ჯორჯია“ 1:1 (უგრეხელიძე; ჩიმაკაძეძ, „კოლხეთი“ | დილა“ 0:1 (რაჟამაშვილიძ, „მერანი“ – „ტორპედო“ 1:0 (გრიგალაშვილიძ.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ბაია“, „გაგრა“ – 9-9, „დინამო“, „მერანი“ – 7-7, „ზესტაფონი“, „მეტალურგი“, „ვიტ ჯორჯია“ – 5-5, „დილა“, „ტორპედო“ – 3-3, „ცხინვალი“, „კოლხეთი“, „სიონი“ – 2-2 ქულა.

**V ტურში ითამაშებენ:** „გაგრა“ – „კოლხეთი“, „დილა“ – „დინამო“, „ტორპედო“ – „სიონი“, „ვიტ ჯორჯია“ – „მეტალურგი“, „ზესტაფონი“ – „მერანი“ (10 სექტემბერიძ, „ცხინვალი“ – „ბაია“ (11 სექტემბერიძ.

* * *

**ინგლისი. III ტური.** „მანჩესტერი“ – „არსენალი“ 8:2(!ძ, „ტოტენჰემი“ – „სიტი“ 1:5, „ლივერპული“ – „ბოლტონი“ 3:1, „ჩელსი“ – „ნორვიჩი“ 3:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „მანჩესტერი“, „სიტი“ – 9-9, „ლივერპული“, „ჩელსი“, „ვულვზი“, „ნიუკასლი – 7-7 ქულა.

**გერმანია. IV ტური.** „კაიზერი“ – „ბაიერნი“ 0:3, „შალკე“ – „გლადბახი“ 1:0, „ჰოფენჰაიმი“ – „ვერდერი“ 1:2, „ჰანოვერი“ – „მაინცი“ 1:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბაიერნი“, „შალკე“, „ვერდერი“ – 9-9, „ჰანოვერი“ – 8 ქულა.

**საფრანგეთი. IV ტური.** „ლიონი“ – „მონპელიე“ 2:1, „ტულუზა“ – „პსჟ“ 1:3, „ლილი“ – „მარსელი“ 3:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „მონპელიე“ – 9, „ლიონი“ – 8 ქულა.

**ესპანეთი. I ტური.** „სარაგოსა“ – „რეალი“ 0:6, „სევილია“ – „მალაგა“ 2:1, „ვალენსია“ – „რასინგი“ 4:3.

**გიორგი შოთაძე**

**განცხადება**

**2011 წლის 5 სექტემბერს, ქ.თბილისში, ვუკოლ ბერიძის ქ.№6-ში, 11 საათზე, ჩატარდება რეგისტრირებული კოოპერატივის „ქვილიშორის საკრედიტო კავშირის“ კრედიტორთა კრება შემდეგი დღის წესრიგით:**

**1. ლიკვიდატორის საბოლოო ანგარიშის განხილვა.**

**„ქვილიშორის საკრედიტო კავშირის“ ლიკვიდატორი**

**ნუგზარ მურუსიძე**

გიორგი ხორგუაშვილის ხსოვნას — ეპიტაფია

# თვითონაც ფრიად ღვაწლიანი შემოქმედი იყო და სიტყვაც ფრიად მადლიანი ჰქონდა...



ერთხელ კიდევ ჩამოიარა სიკვდილმა და თავისი უსიცოცხლო მზერა ამჯერად ჩვენს მეგობარ გამოჩენილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეზე შეაჩერა. აღარ გვყავს გიორგი ხორგუაშვილი — ჩინებული რომანებისა და მოთხრობების, ლექსების, ესეებისა და პუბლიცისტური წერილების ავტორი. ორმოც წელზე მეტი ხნის მანძილზე თავკაცობდა იგი კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს და დაუღალავი, ჭეშმარიტად მამულიშვილური შრომის შედეგად საქართველოს ეროვნული და კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმები არა ერთი და ორი დიდი მეცნიერული ღირებულების ექსპონატით გაამდიდრა.

ამ ჩვენს გაპიარებულ-გაპრიალებულ დროში ნეტავ იმდენი მკითხველი გვეგულებოდეს, რამდენიც მწერალ-პოეტ-დრამატურგია. დიდი ხნის წინანდელი ამბავი უნდა გავიხსენოთ: გვიანი შემოდგომა იდგა. კალმით დახატულ რკონის ხეობაში მივდიოდით. იკვის ახლად აღდგენილი ეკლესია მოვინახულეთ და გიორგი მშენებლობის ნახელავით კმაყოფილი ჩანდა. გზად მეურმე შემოგვხვდა, შეშა მოჰქონდა ტყიდან. ერთმანეთს რომ მივემშვიდობეთ, ამირან წიკლაურმა (ასე ერქვა ახალგაცნობილსძ ურემი შეაყენა და გიორგის უთხრა:

— გოგი, შენი „ნამცვრევი“ წავიკითხე. ღმერთი გიშველის, ე რა კარგი წიგნი დაგიწერიაო.

და ფიქრი აგვეკვიატა: აი, როგორი მასალისგან უნდა აიშენოს მწერალმა ძეგლი, რომლისკენ სავალ ბილიკს (პოეტმა თქვა ასეძ ბალახმა რომ არ გადაუაროს...

გიორგი ხორგუაშვილის, როგორც შემოქმედის, ძეგლი სწორედ ასეთი მასალისგან შენდებოდა, რადგან, როგორც ბრძენკაცმა თქვა, მწერალი ის კი არ არის, ვინც წერს, არამედ ის არის, ვისაც კითხულობენო. გამოჩენილი მწერლის შრომისადმი გულისყური არასოდეს განელებია ქართველ მკითხველს. გიორგი ხორგუაშვილმა მწერლის მძიმე ჯვარი მოთმინებით, უდრტვინველად აზიდა თავის წილხვედრ გოლგოთაზე და ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი გაუყვა მარადისობის გზას.

მწერალი სამამულო საქმეების კეთების ოსტატი და მეთაური იყო. დღეს უკვე მთელ საქართველოში გახმაურებულ — „გურამიშვილობას“, „საააკაძეობას“, „ჯავახიშვილობას“, „გოსტიბეობას“ და სხვა სახალხო დღესასწაულებს სწორედ გიორგი ხორგუაშვილმა ურწია აკვანი. თავს მოაბამდა საქვეყნო საქმეს და თავად ჩრდილოში გადგებოდა.

ვერ აიყვანდით ვერც პრეზიდიუმში, ვერც ტრიბუნაზე, თუ რამეს ჰკითხავდით, მორიდებით, ჩუმი და მობუხუნე ხმით გიპასუხებდათ.

გიორგი ხორგუაშვილის სტიქია საწერი მაგიდა და რაიონის წარსულის სიძველეები — ეკლესია-მონასტრები და იმათზე ზრუნვა იყო. მას ხან არქეოლოგებთან ხედავდნენ, — მიწის გულში ეძებდა ჩვენი ხმალგუთნიანი წარსულის მატერიალურ მტკიცებულებებს, ხანაც ხარაჩოებზე იდგა და რუდუნებით აკვირდებოდა ეკლესიის თვალწარმტაც, მოჩუქურთმებულ კამაროვან თაღებში დღემდე სასწაულებრივ შემორჩენილ უცნობ ტექსტებს... ამ პურმარილიან კაცს განსაკუთრებით მინდორში, მხვნელ-მთესველებთან სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზე ჯდომა უყვარდა, როგორც უებრო თამადამ მუდამ ყვავილივით სურნელოვანი სიტყვა იცოდა, მაგრამ სადაც არ უნდა ყოფილიყო, როგორ საზოგადოებაშიც არ უნდა ეტრიალა, ყოველთვის შინ — ცოლ-შვილთან, რძლებთან, შვილიშვილებთან მიეჩქარებოდა.

ხან ძნელად, ხანაც, გეგონება, ლაღობითა და თამაშ-თამაშითო, იწერებოდა „ცხრაულელა“, „წითელი ხარი“, „მარად ქალწული თემიდა“, „თევდორე თავდადებული“, მოთხრობების კრებულები და რა გასაკვირია, რომ მკვიდრად ჰქონდა დაქნილი მკითხველის გულისკენ მიმავალი სიყვარულის ბილიკი.

დასაბამიდან ცისქვეშეთში ასეა: სიკვდილი დაგვაშორებს და ისევ სიკვდილი შეგვყრის ხოლმე ერთად.

მანამდე კი იძინე მშვიდად, ჩვენო ძმაო და მეგობარო, შენს მადლმოსილ შემოქმედებას მკითხველი არ დაელევა. ქართულ მწერლობის მდინარეს დაშრობა არ უწერია.

* * *

*„...ტანმკვრივი და მკლავებდაკუნთული მუხების სიახლოვეს გაეჭრათ საფლავი. ბევრი მოცრემლე ამოვიდა საფლავზე, მოდიოდნენ და მოდიოდნენ სახედამჭხალული დედაკაცები, სიკვდილის შავი დროშები გაეშალათ...“* ეს სტრიქონები გიორგი ხორგუაშვილის ერთი ადრინდელი მოთხრობიდანაა. გეგონება, ნათელმხილველი იყო და თავისი სიცოცხლის დასასრულს წინასწარ ხედავსო...

სამგლოვიარო მიტინგზე გამოვიდნენ ქართველი მწერლები, თანასოფლელები, ისინი ლაპარაკობდნენ გიორგი ხორგუაშვილზე — მწერალზე, პიროვნებაზე, ჭეშმარიტ მამულიშვილზე, რომელმაც თავისი ცხოვრება ქართულ სიტყვას, საქვეყნო საქმეების კეთებას მიუძღვნა.

ფრთხილად ჩაუშვეს სასახლე კასპის სასაფლაოზე სამარეში და კუბოზე მიწისა და ბელტების დაყრის ხმაურში თითქოს მწერლის ახალი სიცოცხლე იწყებოდა...

— საცა სამართალია, გიორგის თბილისში, პანთეონში დაკრძალვა ეკუთვნოდა, — თქვა ერთმა, უთუოდ მწერლის მადლიანი სიტყვის პატივისმცემელმა.

— გიორგი ხორგუაშვილისთანა მწერალი სადაც დაიმარხება, პანთეონიც იქ არის, — მიუგო ასევე უთუოდ მწერლის მადლიანი სიტყვის პატივისცემელმა მეორე მკითხველმა...

**გურამ გოგიაშვილი,**
**გურამ ვაშაკიძე.**

გამოსათხოვარი

# ნატალია (ნატაშა) ჩხიკვაძე

კიდევ ერთი რომანტიული სიყვარულის ისტორია დამთავრდა — გარდაიცვალა ნატალია (ნატაშაძ ჩხიკვაძე, მსოფლიოში აღიარებული, დიდი ქართველი მსახიობის, რამაზ ჩხიკვაძის მეუღლე.

ულამაზეს ქალთა საზოგადოებაშიც გამოირჩეოდა შარმითა და მომხიბვლელობით. იგი განუმეორებელი იყო არა მხოლოდ უზადო გარეგნობით, არამედ ევროპულ-აღმოსავლური იერის იშვიათი მიმზიდველობის ძალითაც. მასში შერწყმული იყო გონიერება და ქალური ხიბლი. რამაზის ცხოველმოსილობას და იუმორის იშვიათ გრძნობას ნატაშას ოპტიმიზმი და მომავლის ხედვის ნიჭი შესანიშნავად ერწყმოდა.



ნატაშა ეთაყვანებოდა რამაზს, როგორც ღირსეულ მეუღლესა და დიდ შემოქმედს. ამ სიყვარულში ჰპოვებდა მძლავრ იმპულსებს, რაც განსაცვიფრებელ ენერგიად გარდაქმნილი, ისევ რამაზს უბრუნდებოდა.... მაგრამ იგი თავისი სახელგანთქმული მეუღლის ჩრდილში არ დარჩენილა. მისი ასპარეზი მეცნიერება (ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი გახლდათძ და საზოგადოებრივი მოღვაწეობა იყო. სწორედ ამ უკანასკნელში გაიფურჩქნა მისი ნიჭი, გონიერება და თანდაყოლილი დიპლომატიური უნარი. აქ ჰპოვა გასაქანი მისმა საარაკო მიზანსწრაფულობამ და მისმა ტემპერამენტმა.

ნატაშას დაახლოება რამაზთან და რუსთაველის თეატრთან თითქმის ერთდროულად დაიწყო. მიხეილ თუმანიშვილის „ჭინჭრაქას“ დროიდან იგი თეატრის ყველაზე დაახლოებულ ადამიანად იქცა. რობერტ სტურუას „ყვარყვარეს“ შემდეგ კი იგი თითქმის თეატრის კოლექტივის წევრი გახდა.

ნატაშასა და რამაზის ბინაში იკრიბებოდნენ იმდროინდელი თეატრალური საზოგადოება, საერთაშორისო თეატრალური ფესტივალების დირექტორები, ცნობილი თეატრალური კრიტიკოსები. ამ წლებთანაა დაკავშირებული ქართული თეატრის ტრიუმფალური სვლა. ეს იყო ბედნიერი ხანა, როდესაც თეატრში მხოლოდ სიყვარული და ერთსულოვნება სუფევდა.

ერთხანს ნატაშა საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. სწორედ მისი ინიციატივითა და ძალისხმევით მოხერხდა სამი ქართული თეატრის - რუსთაველის, მარჯანიშვილისა და მარიონეტების - მონაწილეობა მადრიდის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე. თვით ესპანელების აღიარებით, ეს იყო უნიკალური, უპრეცედენტო მოვლენა საერთაშორისო ფესტივალების ისტორიაში. პირადად ნატაშას დამსახურება იყო აგრეთვე რუსთაველის თეატრის მონაწილეობა იერუსალიმის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე.

საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში კი მისი ნიჭი და ენერგია სრული ძალით გამოვლინდა მრავალპროფილიან ბიზნესში. მან დააარსა ფირმა, რომელიც საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული კავშირების გამტკიცებაზე ზრუნავდა. სწორედ ამ ფირმის და ნატაშას დამსახურებაა, რომ მარჯანიშვილის თეატრი იაპონიაში ერთი სპექტაკლით კი არა, როგორც ეს თვით იაპონელებს სურდათ, არამედ სამი სპექტაკლით გაემგზავრა. მარჯანიშვილის თეატრთან არსებული ხმის ჩამწერი სტუდია „იამახას“ აპარატურით რომ არის დაკომპლექტებული, ნატაშას პირადი დამსახურებაა. მისი ხელშეწყობით მოხდა მარჯანიშვილის თეატრის „ოტელოს“ ჩვენება გერმანიის ქალაქ ბრაუნშვეიგში, შექსპირის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე. უშუალოდ მის სახელთანაა დაკავშირებული რუსთაველის თეატრის გასტროლები ინგლისში, სადაც რამაზ ჩხიკვაძეს კავკასიელი ლოურენს ოლივიე უწოდეს, და შემდეგ გასტროლები ავსტრალიაში.

ერთი სიტყვით, ნატაშა ჩხიკვაძე წლების მანძილზე აკეთებდა იმას, რასაც სპეციალურად ამ საქმისათვის შექმნილი დიდი ორგანიზაციები ძლივსართმევენ თავს. მაგრამ მისი მოღვაწეობის სრულ სურათს ვერ დავხატავთ, თუ არ აღვნიშნეთ მისი დამსახურება ქართული კულტურის ევროპაში პოპულარიზაციის საქმეში. მისი ძალისხმევით გაიმართა ქართული კულტურის დღეები პრაღაში. პროგრამაში იყო ქართული კინოს კვირეული, მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლები, ა.ვარსიმაშვილის მიერ დადგმული სტრინსბერგის „სიკვდილის როკვა“, ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, ქართული სამზარეულო.

ნატაშა გახლდათ პირველი ქართველი, რომელმაც შეძლო სინგაპურის საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე გაეყვანა ანსამბლი „ბიჭები“.

მოულოდნელმა გარდაცვალებამ შეაწყვეტინა ეს მრავალმხრივი, ჩვენი ქვეყნისათვის მეტად საჭირო მოღვაწეობა.

ქართული კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეების, მისი ახლობლებისა და მეგობრების ხსოვნაში მარად დარჩება ამ უმშვენიერესი ქალბატონის იშვიათი სილამაზით გამორჩეული სახე. ჩვენ კი, ცოცხლებს, ისღა დაგვრჩენია, ვანუგეშოთ ჩვენი საყვარელი, განუმეორებელი რამაზ ჩხიკვაძე.

**ნოდარ გურაბანიძე**

მეუღლე რამაზ ჩხიკვაძე, შვილი ალექსანდრე, რძალი მაია, შვილიშვილები ნატალია, რამაზ ჩხიკვაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ნატალია (ნატაშაძ ჩხიკვაძე
გამოსვენება 30 VIII, 15 სთ. მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის 5, მეორე სადარბაზო, მეხუთე სართული, დაკრძალვა დიდუბის პანთეონში.

---

მეუღლე ჯემალ კახაძე, შვილები სოფიკო, ირაკლი, შვილიშვილები საბა, ალექსანდრე კახაძეები, ძმები ფრიდონ, ავთანდილ თოდუები, რძლები თინათინ შენგელაია, ეკა ბალანჩივაძე, ძმისწული ნინო თოდუა, მულის შვილი ზაალ გრიგოლია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ნაილი თოდუა
გამოსვენება 30, VIII, 15 სთ. საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

---

კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ სოფო კახაძეს დედის
ნაილი თოდუას
გარდაცვალების გამო.

---

კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ აკადემიკოს ფრიდონ თოდუას დის
ნაილი თოდუას
გარდაცვალების გამო.

---

ლიკა და აკაკი ნადარეიშვილები სამძიმარს უცხადებენ ბატონ ფრიდონ თოდუას დის
ნაილი თოდუას
გარდაცვალების გამო.

---

გია სვანიძე, ლამარა თოდუა ოჯახით ვიზიარებთ ჯემალ კახაძის ოჯახის მწუხარებას მეუღლის
ნაილი თოდუას
გარდაცვალების გამო.

---

ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, არმაზ სანებლიძე, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ვილენ მარდალეიშვილი, თეა მოსია თანაუგრძნობენ ბატონ ფრიდონ თოდუას დის
ნაილი თოდუას
გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია თანაგრძნობას უცხადებს აკადემიის პირველ ვიცე-პრეზიდენტს, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას დის
ნაილი თოდუას
გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება სამძიმარს უცხადებს აკადემიის პირველ ვიცე-პრეზიდენტს, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას დის
ნაილი თოდუას
გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეგობრები ოთარ ფაცაცია, ბონდო ჯიქია, ვალიკო (კუკურიძ როგავა ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ ფრიდონ თოდუას დის
ნაილის
გარდაცვალების გამო.

---

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთან გახსენება“ და მისი პრეზიდენტი ბონდო კობაძე ღრმა სამძიმარს უცხადებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პირველ ვიცე-პრეზიდენტს, აკადემიკოს ბატონ ფრიდონ თოდუას ძვირფასი დის, სათნოებითა და კეთილშობილებით გამორჩეული ქალბატონის
ნაილი თოდუა-კახაძის
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და ნათესავებს.

---

ცოტნე დადიანის ქუჩის №87 მობინადრეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კეთილშობილი პიროვნება
ბეგლარ ილიას ძე ბერელიძე
და სამძიმარს უცხადებენ ჭირისუფლებს და მის დიდ სანათესაოს.

---

არკადი ჟორჟენაძის სახელობის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქალბატონ დიანა გოდაბრელიძეს დედის
ცისანა გოდაბრელიძის
გარდაცვალების გამო.

## ჩვენი კარაბადინი

# სპეციალისტები გვირჩევენ

### ქვების შეგროვების დრო

**ჩემს დედამთილს შარდ-კენჭოვანი დაავადება აქვს. ულტრაბგერით ისეთ დიდ ქვებს, მას რომ აქვს, ვერ დაშლი, ჩვეულებრივი ოპერაციის გაკეთება კი სარისკოა ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. ექიმი გვირჩევს, დავეთანხმოთ ნეფროლითოფაქსიაზე. რა მეთოდია ეს და რა არის მისი უპირატესობა ჩვეულებრივ ოპერაციასთან შედარებით?**



**ასმათ გ. წყალტუბო**

**გვიპასუხებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ექიმი-უროლოგი თენგიზ ბლიაძე:**

– თუ კენჭები უფრო დიდია, ვიდრე დასაშვებია, მათი დაშლა შეიძლება მხოლოდ კონტაქტური საშუალებით. ამ შემთხვევაში ხდება ინვაზიური ჩარევა – ნეფროლითოფაქსია. ანესთეზიით (საერთო ან ეპიდურალურიძ პაციენტს უხვრეტენ კანს თირკმლის თავზე და რენტგენის კონტროლქვეშ ბუჟებით (სამედიცინო ინსტრუმენტი – მილაკი, რომელიც მილისებრ ორგანოებში შეჰყავთძ აფართოებენ სივრცეს, შეჰყავთ ოპტიკური სისტემა. შემდეგ სპეციალისტი აპარატის (ულტრაბგერის, ლაზერის, პნევმატურიძ დახმარებით შლიან ქვებს. ზოგჯერ ინსტრუმენტები შეჰყავთ არა კანის ნახვრეტით, არამედ შარდსადენი არხით – მაშინ სხეულზე ჩარევის კვალიც აღარ რჩება, რეაბილიტაცია კი ხდება უფრო იოლად. ნეფროლითოფაქსიის წყალობით შეიძლება უმალვე დაიშალოს ყველა ქვა. სამწუხაროდ, შარდ-კენჭოვან დაავადებას ხშირად ახლავს რეციდივები. ასე რომ, ყველა ავადმყოფს, ვინც მკურნალობა გაიარა, ვურჩევთ წელიწადში ერთხელ გაიაროს თირკმლების ულტრაბგერითი გამოკვლევები.

### სრული სვლით წინ!

**დედაჩემი ავადაა მე-2 ტიპის დიაბეტით და ამავე დროს სიმსუქნით. ვეხვეწები, გადავიდეს დიეტაზე და დაიწყოს გახდომა, ის კი თავიდან მიშორებს. ამ დაავადების დროს გახდომა არ შეიძლებაო. როგორ დავარწმუნო ის საპირისპიროში?**

**თიკა ბეჟიტაშვილი, გურჯაანი**

**გვიპასუხებს ენდოკრინოლოგი ცირა ხომასურიძე:**

– სიმსუქნე, რომელიც წარმოიქმნა ნებისმიერი ენდოკრინოლოგიური სენის ფონზე, არა თუ შეიძლება დავამარცხოთ, არამედ საჭიროცაა, რომ დავამარცხოთ.

რასაკვირველია, უმრავლეს შემთხვევაში დაგვჭირდება მივიღოთ ექიმის მიერ დანიშნული სპეციალური პრეპარატები. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამის შემდეგ წონა თავისით მოვა ნორმაში. არა, მოგვიწევს ამასთან ერთად საფუძვლიანი შრომაც: უნდა ვიკვებოთ სწორად, გავზარდოთ ფიზიკური აქტივობა. სამაგიეროდ რა შედეგს გვაძლევს ეს შრომა! ეს დაადასტურა ერთ-ერთმა დასავლურმა გამოკვლევამ, რომელიც 4 წელიწადი გრძელდებოდა. მასში მონაწილეობას ღებულობდნენ დიაბეტისწინა მდგომარეობაში მყოფი ადამიანები. პირველ ჯგუფს აძლევდნენ პლაცებოს, მეორეს პრეპარატებს ინსულინის დასაწევად, მესამე ჯგუფის წევრები რეგულარულად ასრულებდნენ ფიტნესს და იცავდნენ დიეტას. აღმოჩნდა, რომ ყველაზე უკეთესი შედეგები ჰქონდა მესამე ჯგუფს! რასაკვირველია, დიაბეტისა და სხვა ენდროკრინული დაავადებების დროს გახდომა ისე სწრაფად არ მოხდება, როგორც გვინდა, მაგრამ, თუ გვეყოფა მოთმინება, წონაზე აუცილებლად გავიმარჯვებთ.

### ულტრაბგერითი გამოკვლევა – ორჯერ წელიწადში!

**ვიცი, რომ გინეკოლოგებთან უნდა მივიდე ყოველ ნახევარ წელიწადში ერთხელ. და საერთოდ, რა სიხშირით არის საჭირო ულტრაბგერითი გამოკვლევა? და რომელი ულტრაბგერითი გამოკვლევაა უკეთესი: ჩვეულებრივი თუ ვაგინალური?**

**ლ.ბერაია, ჩხოროწყუ**

**გვიპასუხებს ექიმი-გინეკოლოგი ციური ვარსიმაშვილი:**

–ქალებისთვის რეკომენდებულია ულტრაბგერითი გამოკვლევა წელიწადში ორჯერ, თანაც შეშფოთებისთვის საბაბიც რომ არ გვქონდეს. ულტრაბგერა პრაქტიკულად იძლევა სრულ მიმოხილვას, საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ქალის ორგანოების ანატომიური თავისებურებანი და მილიმეტრამდე სიზუსტით გამოვავლინოთ ენდომეტრიოზის, პოლიპების, მიომისა და საშვილოსნოსა და საკვერცხეების დაავადებათა კერები. ულტრაბგერითი გამოკვლევა სასქესო ორგანოების მხოლოდ ქრონიკულ ან მწვავე ანთებას ვერ ამოიცნობს.

განსაკუთრებით ინფორმატიულია ტრანსვაგინალური ულტრაბგერითი გამოკვლევა, რომელსაც ახორციელებენ სპეციალური ვაგინალური გადამწოდების დახმარებით. მაგალითად, ჩვეულებრივი, აბდომინალური ხერხით საკმაოდ ძნელია განსაზღვრო საშვილოსნოსგარეშე ორსულობა, ტრანსვაგინალური მეთოდით კი – ეს ძალიან უბრალო საქმეა. თანაც ულტრაბგერითი მეთოდის ეს ნაირსახეობა მნიშვნელოვნად ამარტივებს თავად პროცედურას – პაციენტს არ სჭირდება დალიოს 2 ლიტრი სითხე და განიცადოს წამება შარდის ბუშტის გადატვირთვის გამო. სხვათა შორის, მაინც არ არის საჭირო უარი ვთქვათ ულტრაბგერითი გამოკვლევის ტრადიციულ ხერხზე– ის შეიძლება გამოვიყენოთ დამატებით.

გეგმის გარეშეც შეიძლება გავიკეთოთ ულტრაბგერითი გამოკვლევა და შევამოწმოთ საშვილოსნოს და საკვერცხეების მდგომარეობა უშუალოდ ორალური კონტრაცეპტივების მიღების წინ და პირველი მიღებიდან 3 თვის შემდეგ.

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● ყველას გაუგონია ბაში-ბუზუკი. ეს იყო თურქული არმიის არარეგალური რაზმი, ძირითადად, ალბანეთისა და მცირე აზიის მოსახლეობისგან შემდგარი. ისინი სახელმწიფოსგან აღჭურვილობასა და სურსათს იღებდნენ, მაგრამ ხელფასს – არა. რაზმში აშკარად მოიკოჭლებდა დისციპლინა. თურქულად ბაში-ბუზუკი ნიშნავს თავზე ხელაღებულს.

● რომაელ მეზღვაურებს გემზე ქვიშიანი ყუთები ჰქონდათ. მასში დებდნენ აისბერგიდან ჩამოტეხილ ყინულებს და ასე იღებდნენ მტკნარ წყალს.

● თურქი იმ სიტყვას არქმევდა სახელად თავის შვილს, რა პროფესიისაც სურდა, რომ გამოსულიყო.

● თავდაპირველად დროშის ნაცვლად ხის ტოტებს იყენებდნენ, შემდეგ ჯოხზე ბალახს ამაგრებდნენ. მოგვიანებით ცხენის ძუას, ტყავს... ქსოვილი გაცილებით გვიან გამოიყენეს.

● ინდონეზიის სახელმწიფო გერბი ხუთ ნაწილადაა გაყოფილი და ხუთ პრინციპს გამოხატავს: ოქროს ვარსკვლავი რელიგიის სიმბოლოა, კამეჩის თავი – სუვერენიტეტის, ბრინჯის თავთავი და ბამბის ტოტი – კეთილდღეობის, თვითმყოფადობის, ხოლო ჯაჭვის რგოლი – თანასწორობის.

● ინგლისში მარცხნივ მოძრაობა თურმე ინდოელი რაინდების ტრადიციამ განაპირობა. მარჯვენა ხელი მათ ყოველთვის თავისუფალი უნდა ჰქონოდათ.

მოგვაწოდა
**ტიტე კოპალეიშვილმა**


## სტუდენტთა საყურადღებოდ!

აკადემიკოს ალექსანდრე კუჭუხიძის **საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის ეკონომიკურ, სამართალმცოდნეობისა და ჟურნალისტიკის II, III და IV კურსებზე ნებადართულია** ამავე პროფილის სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან საამისო სურვილის მქონე სტუდენტთა გადმოყვანა. **ამ უნივერსიტეტში სწავლების წლიური საფასურია 1700 ლარი.** საბუთების მიღება იწარმოებს 25 სექტემბრამდე. სასწავლო წელი დაიწყება 1 ოქტომბერს.

მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 45. საკონტაქტო ტელეფონები: 2 31 18 50, 2 31 14 75.

**რექტორატი**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.


## კადრი



## ანეკდოტები

დედა თავის პატარა გოგონასთან ერთად ქუჩაში სეირნობს. უცებ ხედავენ, რომ ხვად კატას ფისუნია დაუთრევია და „აუთოებს“. თანაც ორივენი ველურად კნავიან.

– საწყალი ფისუნია! – წამოიძახა დედამ.

– ნუ გეშინია დედიკო, – ამშვიდებს გოგონა, ზედა „გააიმასქნებს“ და გაუშვებს.

* * *

– სარა აბრამის ასულო, თქვენ ებრაელი ბრძანდებით?

– საიდან მოიტანეთ?

– როგორ თუ საიდან, სახელიც ებრაული გაქვთ და მამის სახელიც...

– თქვენი აზრით, თუ ასეა, ისაკის ტაძარი ებრაული სინაგოგაა?



როდესაც ბინა ვიყიდე, ცხადია, ვიცოდი, რომ გარკვეული დროის განმავლობაში ბინის ყოფილი მეპატრონეებისთვის გამოგზავნილ წერილებს მივიღებდი, მაგრამ ვერაფრით ვიფიქრებდი, თუ ამ მეპატრონეებს, ღვინო-არყით გალეწილებს, ტაქსით სახლში მომაყენებდნენ ხოლმე.

* * *

გოგო ექიმისგან ბრუნდება და ცირკის სიახლოვეს მეგობარს ელოდება. უცებ ზედ მის ფეხებთან მანქანა ჩერდება:

– ქალიშვილო, მუშაობთ?

– არა, ბიულეტენზე ვარ.

* * *

რუსეთში გამოუშვეს „ტრაინოი“ ოდეკოლონი ახალი შეფუთვით და წარწერით „ალკოჰოლი კლავს“. გამყიდველთა თქმით, იგი ძალიან კარგად იყიდება და ერთგვარი დეფიციტიც კი იგრძნობა.


ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24